დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 31 ოთხშაბათი, 10 თებერვალი 1910 წ. № 31

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახერა, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წლიწადი მესამე **დროება** წლიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

◆ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ◆

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

წარმოდგენა № 34. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 34.

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, 1910 წელს

გასტროლი ნ. დ. დავითაშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ **ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით პირველად ქართულ სცენაზე პიესა ი. პოტაპენკოსი.**

მომხიბლავი ზღაპარი

4 მოქმედებად თარგ. შ. დავითაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. ევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, დ. მგალობლიშვილი, ვ მურვანიშვილი, ვ, მატარაძე, ი. ყივიძე, გ. იმედელი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 75 კ.-მდე. გალერეია 50 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 50 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

ა ნ ო ნ ს ი: 14 თებერვალს, ბენეფისი ტასო აბაშიძისა წარმოდ. იქნება შირვან-ზადეს პიესა „**სამუსისათვის**" და „**ულმა იგრძნო**" მზადდება „**დანაშაული და სასჯელი**" დოსტოევსკისა და „**შავი ბერი**".

რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დ ამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—105)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური **და** ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—267)

ქართული თეატრი

„ჯეჯილის" საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშვო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I
„მდგმური"
„ჯეჯილიდან"

II
კრილოვის იგავ-არაკნი
წაიკითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში.

III
მუსიკალური
განყოფილება

IV
ცოცხალი სურათი

დ ა ს ა ს რ უ ლ

მ ი ლ ო ც ვ ა

„ჯეჯილის" 20 წლის არსებობის სახსოვრად.

დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დილის გამგე **ეკ. მესხისა.** რეჟისორი **ნ. გეორაძე.** (5—1)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა გეგუთის ქუჩა). აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—9

ექიმი კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—363)

ექიმი ვ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—92)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. პელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—55

ექიმი მ. დ. ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—13)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—21)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—96)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—112)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—12)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ვკისრულობ დაცვას

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოში ბინა N 4. (წ.—ნ.—36)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—18)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ქ უ თ ა ი ს შ ი

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილები და წიგნის მაღაზია

გ. გალუსტოვისა

ამით აცხადებენ, რომ მათ შეთანხმებით მოაწყვეს ქუთაისშივე **მოწაფეთა რვეულების გაკეთება,** რითაც ეძლევათ საშუალება დაუკლონ ფასები. ამა წლის ივნისამდე გაიყიდება ორივე სავაჭროში მოწაფეთა რვეულები 15 გირვანქიანი ასობით 2 მანეთად. მოწაფეთა რვეულები 21 გირვანქიანი ასობით 3 მანეთად. ივნისში კი ფასებს დაუკლებენ. (5—4)

ქ უ თ ა ი ს შ ი

წიგნის მაღაზია

გ. გალუსტოვის

ამით აცხადებს, რომ მან კონკურენციის გამო დააკლო ფასები ყოველ სამოსწავლო წიგნებზე 15 იანვრიდან; უთმობს დანიშნულზედ წიგნების ფასებიდან მანეთზე 5 კაპეის და წიგნის ყდას ანგარიშობს არა უმეტეს 5 კაპეიკს თითო წიგნზე. (5—4)

მოწამლული ატმოსფერა

ჩვენი საზოგადოება არც თუ ისე ყურმახვილია, ფაქიზი გრძნობისა, რომ ანგარიში გაუწიოს ამა თუ იმ ბოროტ-მოქმედებას და არა საკადრის საქციელს. მხოლოდ მაშინ თუ ამოიღებს ხმას, მაშინ თუ ამოიდგამს ენას, როდესაც საძრახისი საქციელი მეხივით დაატყდება თავზე. ლევან ყიფიანები დღეს არ გამოჩენილან ჩვენს უფერულ ჰორიზონტზე. გუშინაც და გუშინწინაც ისინი ისეთებივე იყვნენ. არა ერთხელ და ორჯელ გვიმხელია, არა ერთხელ დაგვიგმია, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს სათაყვანო არსებადაც ჰყვანდა ისინი, ამაყობდა და თავიც მოჰქონდა: დახედეთ, რა მაღალ ღირსების ხალხთანა გვაქვს საქმე, შეხედეთ, ვინ გვიმაგრებს ბჭეებს, ვინ გვიმშვენებს მხარსაო.

დღეს ყველანი გადუდგნენ ნაგურსკისა და ყიფიანს. ამხანაგებმ აც კი, რომელნიც ჯერ ისევ გუშინ ამათ „უმწიკვლო" პიროვნებას საჯაროდ იცავდნენ და თითქმის მაგალითად აღიარებდნენ, დღეს განშორდნენ და ზურგი უბრუნეს. საჭირო იყო თავზარდამ ცემი მეხი, რომ ყველას თვალები გაეჭყიტა. ასეთია ჩვენი საზოგადოება. გაივლის დრო და ხანი და შეიძლება მან კვლავ გულში ჩაიხუტოს, ხელით ატაროს ამ გვარი ვაჟბატონები.

ამ ჟამად თითქოს ყველაფერი აშკარაა. ორმა ჟურნალისტმა უღალატა სინიდისს; სავაჭრო საგნად გადააქცია რწმენაც და კალამიც. ეს ყველასათვის აშკარაა, აშკარაა, როგორც დღის ნათელი, მაგრამ ჟურნალისტთა საზოგადოებამ დაადგინა, კიდევ განაგრძოს მასალის მოგროვება.

დეე, განაგრძოს, რომ ორიოდე ურწმუნოსაც თვალები აეხილოს და მეტი ნათელი მოეფინოს ტფილისის რუსულ გაზეთების ზნეობრივ ავლადიდებას. კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი, ბევრი რამ არის ბურუსით მოცული, თუმცა აშკარავდება კი საშინელი დაცემა და გათახსირება ჟურნალისტებისა და გაზეთებისაც.

რუსული გაზეთები ეხლა ერთხმად სიწმინდეზე და სიფაქიზეზე ლაპარაკობენ. მაგრამ ხომ მოისმინეთ, რა სთქვა ნაგურსკიმ. იმის ნალაპარაკევს მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, ბევრში ვერ ვენდობით, მაგრამ რაც იმან ტფილისის რუსულ გაზეთებსა და მათ ხელმძღვანელებზე სთქვა, მართალი უნდა იყოს. ის უფრო შეეხო „ტიფ. ლ."-ს, რომელიც დღეს ყველაზე მეტსა სწერს სიფაქიზეზე. განა „ტიფ. ლისტ."-ს რედაქტორი არ იყო, რომ ქართულ ენას ძაღლური ენა უწოდა?! დასდეს ამ საქციელს მსჯავრი? გამოიტანა ჟურნალისტთა საზოგადოებამ ამ საქმეზე შესაფერი განაჩენი?

დღეს ორ ჟურნალისტს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ. საზოგადოებაც აღშფოთებულია. ჰკიცხავს საზიზღარ საქციელს. მაგრამ განა სამარცხვინო ბოძზე ერთი და ორი ჟურნალისტია გასაკრავი? განა არა საკადრის საქმეს მარტო ესენი სჩადიოდნენ? თუ პირუთვნელად მოჰკიდეს საქმეს ხელი, კიდევ ბევრი რამ გამოირკვევა. ჟურნალისტთა სხდომაზე ბევრის სახელი ახსენეს. ზოგი ხმოსანია, ზოგი კიდევ რა. საზოგადო მოღვაწის სახელებს ატარებენ ესენი და რამდენად ღირსნი არიან ამისა—უნდა გამოირკვეს.

აღსანიშნავია ერთი პატარა ეპიზოდიც, კრებაზე მომხდარი. კრების თავმჯდომარის არჩევის დროს გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა გრუზენბერგმა სთქვა, ა. ხატისოვი (ქალაქის თავის მოადგილე) ავირჩიოთო. იქით-აქეთიდან მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. მაგრამ პ. გელეიშვილმა ხმა მაღლა განაცხადა: ეგ შეუძლებელია! გამგეობამ ბატაილს ქების ატესტატი მისცა, მაშასადამე, ეგენიც განზე უნდა დავაყენოთო.

დიაღ, ამ საქმეს კუდი ტფ. ქალაქის თვით-მართველობაშიაც უდევს. მირზოევის გარდა, ეჭვი არ არის, სხვებიც ამოტივტივდებიან. დღეს ყველა,—ჟურნალისტი და არა ჟურნალისტი, ხმოსანი და არა ხმოსანი,—ხმა მაღლა გაიძახის, არა ვიცით-რა მაგ საქმისაო. ვნახოთ, რას მოიტანს მომავალი.

რამდენად სამწუხაროა ჟურნალისტების გათახსირება, რამდენად სავალალოა სინიდისის გაყიდვა, იმდენად სასიამოვნოა, რომ ფარდა იხდება და ბევრს რამეს ნათელი ეფინება.

ხ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ ბ-ნმა ლევან ყიფიანმა, როგორც იყო, გუშინდელ „ზაკავკ."-ში ხმა ამოიღო. წერილი ჯერ დათავებული არ არის, მაგრამ იგი დიდად და დიდად საყურადღებოა. უპირველესს ყოვლისა, აღსანიშნავია კილო წერილისა. ყველა იმის შემდეგ, რაც უკვე გამოირკვა, ბ-ნი ყიფიანი სრულებით არა სთვლის თავს დამნაშავედ და, პირიქით, შეუფერებელის სიტყვებით ჰკიცხავს და ლანძღავს იმათ, ვინც მისი საქციელი გამოაშკარავეს და ნამდვილი სახელი უწოდეს ამ საქციელს. რომ იტყვიან, წყალს გაღმა მოედავეო და წყალ გამოღმაც შენ დაგრჩებაო, სწორედ ეს არის.

შემდეგ თავის „შეცდომას" და მირზოევთან ხელშეკრულების დადებას ბ-ნი ყიფიანი აბრალებს გამოუცდელობას. მე და ჩემი ამხანაგი ნაგურსკი საქმის კაცი არა ვართო და ფინანსიურ საქმეებში არაფერი გვესმისო. ხომ გაიგეთ, ბ-ნ ყიფიანს ფული აღება კი სცოდნია, მაგრამ იმის გაგება კი არა ჰქონია, თუ ვისგან და რა პირობით იღებს ფულს...

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ბ-ნი ყიფიანი იმოწმებს ხმოსნებს სტეფანე ქრელაშვილს, ნიკ. ელიავას და კონსტ. ჯაფარიძეს და ჟურნალისტს პ. გელეიშვილს. ამათ ყველაფერი იცოდნენ, იცოდნენ ის, თუ რა პირობა დავდევით მირზოევთან, მაგრამ არაფერს ცუდს ამაში არა ჰხედავდნენო. ეჭვი არ არის, ზემოხსენებული პირები ხმას ამოიღებენ, თუმცა პ. გელეიშვილმა უკვე განაცხადა, არა ვიცოდი-რაო და დაწვრილებით გაგვაცნო თავისი მოლაპარაკება მირზოევთან. მაგრამ გინდაც რომ ამათ სცოდნოდათ ყველაფერი, ეს მაინც ვერ გაამართლებს ბ-ნ ყიფიანს.

მაგრამ ჯერ ვნახოთ, რას იტყვის ბ-ნი ყიფიანი მეორე წერილში.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

სხვა და სხვა კანონ-პროექტი.

8 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ ოცამდე წვრილი კანონ-პროექტი მიიღო. სხვათა შორის, სამინისტრომ თანხმობა განაცხადა შეიმუშაოს ორი კანონ-პროექტი, ერთი იმის შესახებ, რომ გაუქმდეს კანონი, რომლის ძალითაც ქალაქის თვით-მართველობანი მოვალენი არიან ბინები უშოვნონ აფიცრებს; მეორე—დასაფასებელ გადასახადის გაწერის შესახებ სახაზინო შენობებზე ქალაქებში.

სათათბირომ მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დასამატებლად რუსის გლეხების გადამსახლებელ სამმართველოსთვის გადაიდოს 466,000 მანეთი. როგორც ვიცით, სათათბირომ ამ საქმეზე რამდენიმე მილიონი მანეთი გადასდო. ეს არ იკმარეს და ნახევარი მილიონი კიდევ მოითხოვეს 1909 წლის ხარჯში.

სათათბირომ მიიღო აგრეთვე მთავრობის მეორე კანონ-პროექტი—გადაიდოს 250,000 მანეთი ჟანდართა კორპუსის მოხელეების (ჟანდარმების) შესაწევრად. ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს პეტროვმა მესამემ, ვორონინმა, კუზნეცოვმა. მათ სთქვეს, ჟანდარმები ხალხს ავიწროვებენ, სტანჯავენ და ჩვენ კი ჯილდოებს ვაძლევთო.

დასასრულ მიიღეს კანონ-პროექტი, რომელიც კავკასიას შეეხება. ამიერ კავკასიაში არსებობს მთელი შტატი ტოპოგრაფებისა, რომელიც გადმოსახლებულ რუსებისათვის ადგილებს ამზადებს. 1903 წლის ამ

შტატისთვის განსაკუთრებული კრედიტი გადაიდო. სამინისტრო თხოულობდა, მდგომარე წლისთვისაც გადაიდოს ეს კრედიტი. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ კავკასიაში მთავრობა პოლიტიკურ მიზანს აწარმოებს და სრულებითაც არა სცდილობს რუსის გლეხების მოწყობას. მას უნდა ერთმანეთს გადაამტეროს გადმოსახლებულნი და ადგილობრივი მკვიდრნიო. სათათბირომ მაინც შეიწყნარა მთავრობის წინადადება ფულის გადადების შესახებ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

ტანჟერი. 6 თებერვალს ფესში გაემგზავრნენ საფრანგეთის საკონსულოს მოხელეები, რომლებიც მულაი-გაფიდს ულტიმატუმს წარუდგენენ. მულაი-გაფიდს წინადადება მიეცემა 48 საათის განმავლობაში დაამტკიცოს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულობანი. იმ შემთხვევაში თუ მულაი-გაფიდი არ დასთანხმდა ამას, მაშინ ევროპიელები ფესს მიატოვებენ. საფრანგეთის ელჩმა ყველაფერი ეს აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს და სხვა სახელმწიფოების ელჩებს.

კაირო. დილით ჭრილობისაგან გარდაიცვალა მინისტრ-პრეზიდენტი ბუტროს-ფაშა.

ტოკიო. ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ამერიკის ზოგიერთი წრეები ჰფიქრობენ, აღარ მოუცადონ პეკინში გამართულ მოლაპარაკების შედეგს და შეუდგნენ ცზინჯოუ-აიგუნის რკინის გზის გაყვანას. რკინის გზა ამას წინად დამტკიცებულ პროექტით უნდა გაიყვანოს ინგლის-ამერიკელთა სინდიკატმა. ამერიკელების აზრით, ცზინჯოუ-აიგუნის რკინის გზის პროექტი უკვე დამტკიცებულია და მათ უფლება აქვთ შეუდგნენ რკინის გზის გაყვანასო.

ფილადელფია. 7 თებერვალს ტრამვაის გაფიცულმა მუშებმა დაამტვრიეს 297 ვაგონი. წესიერების აღსადგენად გაიგზავნა 3000 პოლიციელი.

ვენა. 9 თებერვალს ვენის, ბუდაპეშტის და სერაევოს ოფიციალურ ორგანოებში დაიბეჭდება იმპერატორის მიერ დამტკიცებული ბოსნია-ჰერცოგოვინას კონსტიტუციის ტექსტი. ახლად დამტკიცებულ კონსტიტუციის ძალით, ბოსნია-ჰერცოგოვინა იქნებიან იმპერიის ორთავ ნაწილების სამინისტროების უმაღლეს ზედამხედველობის ქვეშ. ბოსნია-ჰერცოგოვინას სეიმი განაგებს შინაურ საქმეებს. სეიმს ექნება საბიუჯეტო უფლებაც. სეიმი ვერ განიხილავს ისეთ საკითხებს, რომლებსაც საერთო საიმპერო ხასიათი ექნებათ. სეიმს იმპერატორი ყოველ წლიწადს მოიწვევს. იმპერატორივე დანიშნავს სეიმის პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს. სეიმის პრეზიდიუმში თავის წარმომადგენელნი უნდა ჰყავდეს ბოსნია და ჰერცოგოვინას სამ უმთავრეს სარწმუნოებას. ისეთ საკითხების განსახილველად, რომელთა გადაწყვეტაში დაინტერესებულია იმპერია ან ერთი მისი ნაწილი, დაინიშნება განსაკუთრებული საბჭო. საბჭოში შედის 9 წევრი, რომელთაც სეიმი აირჩევს. საბჭოს მარტო სათათბირო ხმა ექნება. საბჭოში თვითეულ სარწმუნოებას ეყოლება თავისი წარმომადგენელნი, პროპორციონალურად იმისა, რაც სეიმში ეყოლება. მოქალაქეობრივ უფლების ძირითად პრინციპებად აღიარებულია ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, სარწმუნოების და სინიდისის თავისუფლება, ენისა და ეროვნულ საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სიტყვის, მეცნიერების, პეტიციების და კრებებისა, ხელშეუხებლობა ბინისა და მამულისა და კორესპონდენციების საიდუმლოების დაცვა. არჩევნები სამ ხარისხოვანი იქნება და ყველა სარწმუნოებისა ცალკე. მეორე და მესამე კურიებში საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებია დაწესებული. ლანდტაგის წევრებად ითვლება 26 ვირილისტი, მათ შორის, სამივე სარწმუნოების სამღვდელოების მეთაურები და 72 დეპუტატი. ამ რიცხვიდან თვითეულ სარწმუნოებას პროპორციონალური წარმომადგენლები ეყოლება. კონსტიტუციონურ სტატუტის გარდა, გამოცემულია კანონები კავშირების, კრების და საოლქო საბჭოების შესახებ. საოლქო საბჭოები მონაწილეობას მიიღებენ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას მართვა-გამგეობაში. ეს საოლქო საბჭოები ავსტრ-ჰუნგრეთის საოლქო საბჭოებს ემსგავსებიან.

გადადგა მინისტრი შრეინერი.

პარიზი. დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისია და მთავრობა შეთანხმდნენ 1910 წლის ბიუჯეტის საკითხში. შემოსავალ-გასავლის გასათანასწორებლად მთავრობა აიღებს მოკლე ვადიან სესხს 1161—111 მილიონი. ამას გარდა, გადასახადების მომატება მთავრობას მისცემს 10 მილიონს და ამდენივე სადამოქნო ტარიფი. კომისიამაც და მთავრობამაც უარჰყვეს, რომ სპირტს, თამბაქოს და სასმელებს გადასახადი მომატებოდა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. წაიკითხეს სეფე-სიტყვა. სეფე-სიტყვაში ნათქვამია: სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი გვაქვს. ინდოეთში შემოვიღეთ საკანონმდებლო საბჭოები და მათი უფლებები უფრო გავაფართოვეთ. საზღვაო უწყების ხარჯი უნდა გადიდდეს და ინგლისის ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდესო. ამას გარდა, სეფე-სიტყვაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ ზედა და ქვემო პალატებს ხშირად უთანხმოება მოსდით და ჩამოთვლილია ის ზომები, რომლებიც ამას ბოლო მოუღებენ. სეფე-სიტყვით საფინანსო საკითხები დეპუტატთა პალატის სრულ კომპეტენციას უნდა შეადგენდნენ და საზოგადოდ კანონ-მდებლობაში უპირატესობა ქვედა პალატას უნდა მიენიჭოს.

რუსეთი

ლოდძი. სასიკვდილოდ დასჭრეს უბნის ზედამხედველი. მკვლელი—დარაჯი დააპატიმრეს. მიზეზი—კერძო შურისძიებაა.

პაბიანეცის გზატკეცილზე შეიარაღებული ბოროტგანმზრახველები თავს დაეცნენ მოვაჭრეებს, წაართვეს 3,000 მანეთი, ცხენები, სცემეს ვაჭრებს და შემდეგ მიიმალნენ.

პეტერბურგი. ღამე თავი მოიკლა იუსტიციის მინისტრის საგანგებო საქმეთა მოხელემ, ლიადოვმა. ლიადოვი ამხანაგობა „რაბოტნიკის" გამგეობის დირექტორად იყო.

ასტრახანი. დაბა ბოდაიში შავი ჭირი გაჩნდა. გარდაიცვალა 4, ავად არის 2 კაცი.

ნოვოჩერკასკი. რიკოვსკის მაღაროებში ხოლერა მოისპო. ავად არის 4 კაცი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში აღარავინ გამხდარა ავად.

უფა. სასამართლომ გაარჩია „ვესტნიკ უფის" რედაქტორის, ტრუბნიკოვის საქმე. ტრუბნიკოვს უჩიოდა საქციზო გადასახადთა უფროსი, თავის გაზეთში ცილი დამწამაო. სასამართლომ ტრუბნიკოვს სამი თვით დაპატიმრება და 200 მანეთით დაჯარიმება გადაუწყვიტა.

პეტერბურგი. ეკატერინოსლავის გუბერნიაში გაძლიერებული წესები ამა წლის 4 სექტემბრამდე დარჩება. ამავე გუბერნიის ბახმუტის მაზრაში კი განსაკუთრებული წესები.

ოდესსა. ზეინკალ სლავანსკის სახლის გაჩხრეკის დროს, სლავანსკიმ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. სლავანსკიმ დასჭრა დარაჯი და გაიქცა. მის სახლში დააპატიმრეს ერთი მუშა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **„ჯეჯილის" დღესასწაული**. როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 14 თებერვალს „ჯეჯილის" დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ქუთათური მანდილოსნებიც, ამ დღისთვის ქუთაისიდან ჩამოვლენ დეპუტატები.

◆ **პოეტი ევდოშვილი**. როგორც „ნ. რ."-ს გაუგია, პოეტ ევდოშვილს ხუთი წლით ციმბირში ჰგზავნიან.

◆ **ძველი სასაფლაო**. როგორც ვიცით, ვერაზე არის საეკკლესიო მამული—ძველი სასაფლაო. დიდი ხანია ქალაქის გამგეობა სცდილობს ეს ადგილი თავის საკუთრებად აქციოს და იქ ბაღი გამართოს. გუშინ ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი, ხმ. ქანანოვის თანხლებით, ექსარხოსთან იყო ამ ადგილის თაობაზე. ექსარხოსს უთქვამს, რომ იგი პრინციპიალურად წინააღმდეგი არ არის ამ ადგილზე ბაღის გამართვის, არსებითად საკითხს მალე განვიხილავთ და პასუხს გაცნობებთო.

◆ **მადათოვის კუნძული**. ქალაქის თვითმართველობამ განიზრახა მადათოვის კუნძულის მოწყობა და გამშვენება. რადგან მადათოვის კუნძულზე ბევრი მესაკუთრეა და, მაშასადამე, ქალაქს გაუჭირდება კუნძულის მოწესრიგება, გამგეობას აზრადა აქვს შეიძინოს ადგილები და მთელს კუნძულზე სამაგალითო ბაღი გააშენოს. ამიტომ გამგეობა შეეკითხა მესაკუთრეებს, რა ფასად გაჰყიდიან ადგილებს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი**. ორშაბათს, 8 თებერვალს, მოხდა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. რადგან ახლო მომავალში უნდა მოხდეს უნივერსიტეტის საზოგადო კრება, გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ორ თავის წევრს, ვ. რცხილაძეს და ი. კაჭუხოვს, ანგარიშის შედგენა.

◆ **დაპატიმრება**. პოლიციას დაუპატიმრებია სახალხო წარმოდგენების ადმინისტრატორი სვ. ჯუღელი. („ნ. რ.")

◆ **სკოლების შენობები**. როგორც ვიცით, ალიბეგოვისა და ყორღანოვის მემკვიდრეებმა 20,000 მან. შეიტანეს ქალაქის გამგეობაში და სურვილი გამოსთქვეს, ამ ფულით ქალაქის სკოლისათვის საკუთარი შენობა აიგოს. გამგეობამ ეს საკითხი განსახილველად გადასცა სასკოლო კომისიას. კომისიამ დაადგინა, თანახმად გამგეობის მოსაზრებისა, გადაიდოს ეს ფული ანდრეევის ქუჩაზე, ქალაქის ადგილზე, ქალაქის სკოლისათვის შენობის ასაგებად. კომისიამ დაადგინა აგრეთვე დაევალოს სატეხნიკო კომისიას, შეიმუშაოს პროექტი ნავთლუღში ბელენოვსკის ქუჩაზე ქალაქის სკოლის შენობისა. შენობის აგების გაზაფხულზე შეუდგებიან.

◆ **მირზოევის საქმის გამო**. მირზოევ-ბატაილის საქმის შესახებ ცნობას ბრიუსელამდისაც მიუღწევია. როგორც გავიგეთ, ამ საქმის გამო ტფილისში გამოუგზავნიათ უსახელო საზოგადოების მთავარი რწმუნებული ფაინი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

◆ **მოსწავლეების დაპატიმრება**. რუსულ გაზეთების სიტყვით, კვირას, 7 თებერვალს, ვაკეში პოლიციას დაუპატიმრებია ტფ. მართლ. სასულიერო სემინარიის 17 მოსწავლე და მეტეხში გაუგზავნიათ.

◆ **მინდვრის თაგვი განჯის გუბერნიაში**. კარიაგინისა და შუშის მაზრებში მინდვრის თაგვი გაჩენილა. ნათესებს ძალზე ანადგურებს. 7 თებერვალს დიდი წვიმების შემდეგ თოვლი მოსულა. გლეხები გახარებულნი არიან, რომ მინდვრის თაგვები მოისპობიან.

◆ **ეგზამენები**. ტფ. ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ გადასწყვიტა შემოიღოს წელს გამოსაცდელი ეგზამენები ყველა კლასში.

◆ **მუქარა მამულის მყიდველთა წინააღმდეგ**. შემდეგ ამბავს გვატყობინებენ: „ამ დღეებში სოფელ მოხისში (გორის მაზრა) გლეხებს უნდოდათ ეყიდნათ მემამულისაგან სამოსახლო ადგილები. როდესაც გლეხები გასაყიდ ადგილებს ათვალიერებდნენ, ვიღაც უცნობებს უსროლიათ ჩვრებში გახვეული ქვა. ერთი მისულა და გაუხსნია შეკრული ჩვრები. შიგ წერილი ყოფილა, ბავშურის ხელით დაწერილი. წერილში მუქარა იყო მყიდველების მიმართ: ვინც მამულს იყიდისო, მოკლული იქნებაო. გლეხებზე იმოქმედა მუქარამ და მაშინვე წავიდ-წამოვიდნენ. მამულის ყიდვაზე ხელი აიღეს. წერილები წარუდგინეს ბოქაულს, რომელიც მივიდა მოხისში, შეაგროვა ყველა წერა-კითხვის მცოდნე, შეადარა ხელი, მაგრამ ავტორი მაინც ვერ აღმოაჩინა".

◆ 8 თებერვალს პოლიციამ დააპატიმრა ტფილისის მოქალაქე ს. ს ლაზარევი, რომელიც დიდი ხანია სამხედრო ბეგრის ასაშორებლად იმალებოდა.

◆ 8 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო 21 მათხოვარი, რომელთაც სამშობლოში ჰგზავნიან,

◆ 8 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო ტფილისიდან გადასახლებული და ნება

ჩვენი თეატრის მატიანედან

(შემდეგი *)

დასის შედგენას მაშინვე შევუდექით და მასში შემდეგი მოყვარულნი ჩაირიცხნენ: კნ. ბაბო ხერხეულიძე-ავალიშვილისა, მარ. ყიფიანი, მარ. საფაროვი, ნატ. გაბუნია, ბ. კორინთელი (შემდეგში ყიფშიძისა), ნატ. ტარიელოვისა, კოტე ყიფიანი, ვას. აბაშიძე, კ. მესხი, ნიკ. შიშნიაშვილი, ზაალ მაჩაბელი, ას. ცაგარელი და სხვანი. სიუფლიორად გრ. ყიფშიძე იყო, ადმინისტრატორად ადამ ჩუბინაშვილი, ხოლო რეჟისორობა მე დამეკისრა და სცენარიუსობასაც მე ვასრულებდი. ამ ხანში ხაზინადრობა ალ. როინაშვილს ჰქონდა მინდობილი, თუმცა კომიტეტის წევრიც არ იყო.

ამ დასმა წარმოდგენები დაიწყო და დაამთავრა 1878—9 წ. სეზონის განმავლობაში. სულ 13 წარმოდგენა გაიმართა. ამ წარმოდგენებზე 17 სხვა და სხვა პიესა ვითამაშეთ, მათში 9 ახალი; 6 ორ-ორჯერ და 3 სამ-სამჯერ გავიმეორეთ. წარმოდგენების ნაღდი შემოსავლიდან ნახევარი მსახიობთ უნდა მისცემოდათ ჯილდოდ (არ მახსოვს კი რა წესით), ხოლო ნახევარი თეატრის საჭიროებისთვის უნდა დარჩენილიყო. რამდენი იყო ნაღდი შემოსავალი და ნამდვილად რამდენი მიეცა დასს ჯილდოდ, ამისი ცნობები ხელთ არა მაქვს, მაგრამ საკუთრად თეატრის წილად მგონია ბევრი რამ უნდა დარჩენილიყო.[26]

ამ პირველმა სეზონმა რიგიანად ჩაიარა. თუმცა სამს სხვა და სხვა ალაგს ვმართავდით წარმოდგენებს: ნემეცების კლუბში, მუსიკალურ საზოგადოების სცენაზე და არწრუნის თეატრში (ეხლა თავად-აზნაურთა), და ეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადაბარგება ჩვენც გვიძნელდებოდა საქმეს და საზოგადოებასაც გზა-კვალს უბნევდა; მაინც იგი ბლომად დადიოდა წარმოდგენებზე და სრული კმაყოფილიცა რჩებოდა.

ეს პირველი ცდა გამარჯვებით დასრულდა.

ამან მეტად გაგვამხნევა და საკულაო მოქმედებისთვის, როგორც იტყვიან, ფრთები შეგვასხა. დავრწმუნდით, რომ საქმეს საძირკველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა და ეხლა მაზედ შენობის აგებაღა იყო საჭირო. ამისთვის კი ისეთი მასალა გვქონდა შემზადებული, ესე იგი, ისეთი მსახიობნი გვყანდნენ განსწავლულნი და გამოცდილნი, რომ ბევრს პროვინციის თეატრს შეჰშურებოდა, ჩვენზედ დაწინაურებულ ერისას. ამიტომაც თამამად შეგვეძლო მომავალ 1879/80 წლის სეზონის მზადებას შევუდგომოდით. დასის შედგენა თავ. გ. თუმანიშვილმა იკისრა, და თანაც იმ საკითხის გადაწყვეტას შევუდექით, როგორ მოგვეწყო საქმე, რომ მსახიობთა დაჯილდოვება ისე მომხდარიყო, მათში ერთმანეთის შური არ გაეჩინა. ჯამაგირზედ სამსახურს ჯერ ვერავის მოვურიგდებოდით, რადგან ამისთვის საჭირო სათადარიგო თანხა არ მოგვეპოვებოდა. ვარჩიეთ თ. გ. თუმანიშვილის წინადადებას დავდგომოდით, ე. ი. მსახიობნი შემოსავლიდგან მარკების წესით დაგვეჯილდოებინა. ამ წესს მით უფრო გაბედვით მოვკიდეთ ხელი, რომ მაშინ ეს წესი რუსეთის პროვინციალურ თეატრებში იყო შემოღებული და ტფილისშიაც იმ დროს მოქმედი პალმის ტრუპპა ამ წესით აწარმოებდა თავის საქმეს.[27] მარკების განაწილება მოვახდინეთ დასში ჩარიცხულ მსახიობთა თანადასწრებითა და თანხმობით.

ამ საგანზედ ფიქრის თანაბარად იმაზედაც ვზრუნავდით, ჩვენი თანხა გაგვეძლიერებინა როგორმე, რაიმე წყარო გაგვეჩინა მისთვის ან მუდმივი ან ერთდროული მაინცა. ყველაზედ უწინ ჩვენი იმედი სათავად-აზნაურო ბანკისკენ მიიმართა, რაკი მისი შემოსავლის ერთი წილი (45%) ტფილისის გუბერნიის მიწადმომქმედთა და მიწადმფლობელთა საერთო საჭიროებისთვის იყო დანიშნული. ვიფიქრეთ, ამ თანხიდან შეიძლებოდა დახმარება მიგვეღო და ამიტომ კომიტეტმა თ. გ. თუმანიშვილს მიანდო ამ საგანზედ ბანკის გამგეებთან მოელაპარაკნა და ეთხოვნა მათთვის, რომ საზოგადო ყრილობაზედ ჩვენთვის მხარი დაეჭირათ. მაგრამ ბანკის გამგეობამ ჩვენი სურვილის დაკმაყოფილება შესაძლოდ ვერა სცნა იმ საბუთით, რომ ხსენებული თანხა მეურნეობისა და მასთან შეკავშირებულ საქმეთა დასახმარებლად იყო დანიშნული. რაკი ესეთი დაბრკოლება დაგვიხვდა წინ,[28] მაშინ კომიტეტმა დიმ. ყიფიანის მეთაურობით გავლენიანი პირები მოიწვია კომიტეტში და მოლაპარაკებით დავითანხმეთ იგინი—ბანკის კრებაზედ ჩვენი თხოვნისთვის მხარი დაეჭირათ: ეს პირები იყვნენ: თავ. ვახტ. ორბელიანი, გენ. კონსტ. მამაცაშვილი, თ. იოს. ანდრონიკაშვილი და სხვ. ამასთან გ. თუმანიშვილმა „Тифлисскій Вѣстникъ"-ში ამ საგანზედ რამდენიმე სტატია დაჰბეჭდა. ამ მეცადინეობით ბანკის კრებამ ჩვენი თხოვნა შეიწყნარა და თეატრის დასახმარებლად სამასი თუმანი მოგვცა.

მომავალ სეზონისთვის დასის შედგენას უფრო გაბედვით მოვკიდეთ ხელი, რადგან ამ შესაწევრით საქმის სასურველ პირობებში ჩაყენება შეგვეძლო, შეგვეძლო მშრომელთათვის სცენის სამსახური ცხოვრების სახსრად გადაგვექცია და ამით იგინი სცენასთან მტკიცედ შეგვეკავშირებინა.[29]

1879/80 წ. სეზონში მსახიობთა დაჯილდოვება მარკების წესზედ დავადგინეთ და გუნდის შედგენა თ. გ. თუმანიშვილს მივანდეთ. გუნდში ყველა წინა სეზონში მომქმედი მსახიობი შევიდა. რეჟისორობა ბევრი თხოვნის შემდეგ, თ. დ. ერისთავს ვაკისრებინეთ. ხოლო საქმის საერთო გამგეობა კომიტეტის ხელში იყო. რადგან დასი მაისში შევადგინეთ, და ზაფხულობით კი თბილისში წარმოდგენებს შემოსავალი არ ექნებოდა, ამიტომ დასი წარმოდგენების გასამართავად პროვინციებში გავგზავნეთ. ამ მოძრავს დასს რეჟისორად ბ-ნი კ. ყიფიანი დავუნიშნეთ. პირველ ხანში რიგიანად მიდიოდა საქმე, მაგრამ მალე არტისტებში ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო დასმა მოქმედება ვეღარ განაგრძო და დაიშალა.

ეხლა ხელმეორედ დაგვჭირდა სეზონისთვის დასის შედგენა და ეს საქმე მსახიობთა ერთმანერთში მორიგება და დასის შედგენა ისევ გ. თუმანიშვილს მივანდეთ. დასი შესდგა, მაგრამ თ. დ. ერისთავმა რეჟისორობაზედ უარი სთქვა იმ მიზეზით, რომ დასის წევრებს ზაფხულში ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათო და ნერვების ამშლელი საქმის თავი არა მაქვსო. რეჟისორობა ისევ გ. თუმანიშვილმა იკისრა.

სეზონის წარმოდგენები 1879 წ. 1 სექტემბერს დაიწყო და ყველიერის კვირაში დასრულდა. ეს სეზონი პირველი ნამდვილი, სრული სეზონი იყო. წარმოდგენები სახელმწიფო საზაფხულო თეატრში იმართებოდა. სულ 27 წარმოდგენა გაიმართა, 26 თბილისში და 1 გორში.[30]

---

*) იხ. „დროება" № 28

[26] თ. გ. თუმანიშვილი თავის «Театральныя воспоминанія»-ში ამბობს (იხ. ბროშურა: „Характеристики и воспоминанія, გამოცემა 1905 წ.): ამ სეზონში თითო წარმოდგენიდან ორთა-შუა ანგარიშით 170 მან. დარჩენილა, რაიცა 13 წარმოდგენაზე შეადგენს 2230 მან. და თეატრის ხაზინადრად ნახევარი—1115 მან. მაგრამ 1879 წ. ივნისის კომიტეტის ოქმის მავიდან სჩანს, რომ ამ რიცხვში «ხაზინადარი ალ. როინაშვილის ამ თანამდებობიდან გადაყენების გამო, კომიტეტმა მისგან ჩაიბარა: ფულად 438 მან. 40 კ., ტანისამოსი, ნივთეულობა და რეპერტუარი 383 მან. 40 კ. და ამას გარდა ცალკე აღნუსხვით სხვა და სხვა შემოწირული ტანისამოსი და ნივთეულობა». ესე იგი, ის, რაც, როგორც 23 სქოლიდან სჩანს, ამ სეზონის დაწყებისას გვქონდა. გამოდის, რომ ან 1878/9 წ. სეზონის შემოსავალი როინაშვილს აღარ ებარა, ან მთელი შემოსავალი არტისტებს მისცემიათ. ამაზე გარკვევით არა მახსოვს-რა, მხოლოდ ის კი მახსოვს, რომ როინაშვილი ჩვენ ხაზინადრად მცირე ხანს იყო. მგონია 1878/79 წ. სეზონის შემოსავალი იმას ჰბარებია.

[27] ეს წესი იმაში მდგომარეობდა, რომ მსახიობნი შრომა-მოვალეობის დაგვარად სამ თუ ოთხ ხარისხად იყოფოდნენ. პირველს მეორეზედ მეტი მარკა ჰქონდა, მეორეს მესამეზედ მეტი და ესე ბოლომდის. შემოსავალი მარკების საერთო რიცხვზედ იყოფოდა და ჯამიდან იმდენი წილი ეძლეოდა მსახიობს, რამდენი მარკის პატრონიც იყო. მაგალითად, ვსთქვათ, მთელი დასი ასი მარკის პატრონი იყო, შემოსავალი ას წილად იყოფოდა და თვითეულ მსახიობს იმდენი წილი ეძლეოდა, რამდენი მარკაც ჰქონდა მითვისებული. ე. ი. ოთხის პატრონს მთელი ჯამის ოთხი მეასედი, ორის პატრონს—ორი, ოცის პატრონს—ოცი და სხვ.

[28] თ. გ. თუმანიშვილი ზემოხსენებულ თავის ბროშურაში ამბობს: ბანკის გამგეობამ მეორე დაბრკოლებაც ის წამოაყენა, რომ ქართველ მოყვარულთ ცუდი სახელი ჰქონდათ: ფულებს აგროვებენ, მაგრამ საქმეს კი არ აკეთებენო. (ე. ი. თვითონ ხარჯავენო). არ ვიცი რომელ „ქართველ მოყვარულებზედ" ყოფილა ეს ლაპარაკი ბანკში, გარდა რაიცა 1868 წლიდან გამუდმებით მოქმედი ჩვენ მოყვარულთა წრეს ეხებოდა, იმას ფულის მოგროვება ფიქრადაც არასდროს არ გაუვლია და პირველ ხანებში თითქმის მუდმივ ზარალს „მნათობის" რედაქცია, ე. ი. მე ვიხდიდი, და შემდეგ მოგებიდანაც კი არაფერს არ ამინაზღაურებია იგი ზარალი. მარტო ორი თავისთავად მოსული შესაწირავი იყო მაშინ ხნის განმავლობაში: ერთი ზევით მოხსენებული არდაზიანისაგან 25 მან. და მეორეც, ერთი „მნათობის ხელის მომწერი აბონენტისაგან" (მანგლისიდან გამოგზავნილი) 8 მან. (სახელი არ მახსოვს). ჩვენ მოყვარულთა წრეს 1870—1877 წლების განმავლობაში ორი საქველმოქმედო წარმოდგენა გაუმართავს, მაგრამ იმ წარმოდგენების შემოსავალი და გასავალი წრეს ხელშიაც არ შეუხებია. ჩვენი მოყვარულნი იმ წარმოდგენებში მხოლოდ მუქთი მუშის მოვალეობას ასრულებდნენ. და თუ იმ საქველმოქმედო წარმოდგენებიდან მიღებული ფული მიზანს არ აღწევდა, ეს ჩვენს წრეს არ ეხებოდა.

[29] ბანკის ნდობით გაქეზებულთ დავადგინეთ ნივთიერი დახმარება მთელი საზოგადოებისაგან მოგვეთხოვნა, რა არის იმდენი ფული შეგვედგინა, რომ ქართული თეატრის არსებობა უზრუნველ გვეყო. ვფიქრობდით ამისთანა საერთო საქმისთვის რაიმე წვლილს ჩვენი წარჩინებული საზოგადოებაც არ დაიშურებსო. ამისთვის ფურცლები დავბეჭდვინეთ, ჩვენი ნაცნობებს დავაგზავნეთ, თავში ბანკის შემოწირული 3000 მ. ჩავბეჭდეთ, სისამართიც დავაწერეთ, მაგრამ გავგზავნეთ და გიხმეს თუ არა, არ მახსოვს. ერთი ამისთანა ფურცელი—სია ჩემ ქაღალდებში აღმოჩნდა—არ გაგზავნილი, თუ უკან დაბრუნებული—არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ არავის არაფერი არა შემოუწირავს რა.

[30] გორში დასი ჩემი გამგეობით იყო. წარმოდგენა იქაურ როტონდაში გვქონდა, რომელიც ამისთვის ჩვენი ხარჯით იყო გადაკეთებული, რადგან დრო-გამოშვებით ვაპირებდით იქ წარმოდგენებს. ამ როტონდის გადაკეთება ბ-ნ აღალო თუთაევს ჰქონდა მინდობილი და იმის გამგეობით მოხდა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და შემოსავალიც აღემატა ხარჯს. ხარჯს ზევით საკმაო დაგვრჩა და უფრო ბევრი დაგვრჩებოდა, რომ როტონდის გადაკეთებაზე არა დაგვხარჯოდა-რა. მაგივრად იქ ცხოვრებაზე არაფერი დაგვიხარჯავს, რადგან მისვლის უმალ ბ-ნმა აღალო თუთაევმა მთელი დასი თავისთან წაგვიყვანა და ვიდრე იქიდან უკან დავბრუნდებოდით, საქებარი გულ-უხვობით გვივლიდა და გვიმასპინძლდებოდა.

დაურთველად დაბრუნებულა კ. ს. იგნატიევი. 6—8 თებერვალს პოლიციის სხვა და სხვა უბანში შეიპყრეს 100-მდე უპასპორტო კაცი.

მოწერილი ამბები

კახეთი. ჩვენ სოფელს რომ უცხო სტუმარი ეწვიოს, გულში გაიფიქრებს: ჭკვიანობა აღარ არის და ეს წარა-მარა ღობეები, მინგრეულ-მონგრეული სახლები რა ამბავიაო. შესდიხარ სოფელში, სამას-ოთხას კომლით დასახლებულში და რა წარმოუდგება თქვენ თვალს: რიგზე და გემოვნებაზე არც ერთი სახლი. სახლებს თითო პატარა სარკმელი და კარი აქვს: ისე რომ საპყრობილეს უფრო ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელ სახლს. ქვეშ ან გვერდით აქვს ბოსელი, მუდამ უსუფთაო, რომლის მოწამლულ ჰაერითაც იწამლება და იმოკლებს წუთი-სოფელს გლეხი. ეზო უსუფთაო. ყველას ეზოს აქვს კარს გადაგანი ნახევრად ჩამონგრეული, ან არა და ეკლიანი ღობე, რომელიც აუშნოებს კარ-მიდამოს, იქვე-მახლართული სასიმინდე, საქათმე და სხვა. როცა მშრალობაა, მაშინაც აზნაირი კარ-მიდამო ნესტიანია და უსუფთაო. ხოლო თუ წვიმა მოვიდა, თქვენ მტერს, იქ ადამიანს აღარ გაუვლება! სასუქიც ხომ დროზე არ გააქვთ მინდვრად. ცხვირ წინ უყრიათ იმ დრომდე, ვიდრე მამასახლისი მათრახით არ ჩამოივლის.

ჩვენი გლეხი დიდი ნაწილს ზამთარისას ზის ცეცხლა-პირას და თუ კოვზის ან ფიჭლის და ნიჩბის თლა არ იცის, სთვლემს, ვიდრე ტყეში წასვლა არ მოუხდება, რომ მარხილით ან ზურგით შეშა მოიტანოს. ღვინო ამ დროს უკვე გაყიდული აქვს და ფული ვალში დარიგებული. თუ პური მაინც აქვს ხომ კარგი, თუ არა და ნახევარზე მშიერმა, ძაღლ-უმადურად უნდა გაატაროს თავისი დღენი.

წყალი შორიდანა აქვს ზურგით საზიდი, ზოგს სოფელს ორი-სამი ვერსის სიშორიდან. როცა ბილიკები მოყინულია, შენს მტერს! კაცი თუ ქალი, ფარაჯებ და კაბებ დაფლეთილები გაუდგებიან გზას და რამდენს უტყდება გზაში ჭურჭელი, ან რამდენი ხდება ავად. წყარო ბევრგან პატარა მოწანწყარებს, შეიკრიბება ორმოცამდე კაცი და ქალი და იყინება ცივ ზამთარში. ზაფხულში კიდევ ვინ იცის, რამდენი საქმეს სცდება. ნუ თუ მომრიგებელი შუამავალი მოვალე არ არის, წყალი დაადევნინოს ხალხს და გაიყვანოს წყაროები!? საქმე მოთავეა, თორემ წყაროების გამოსაყვანად ფული არის. ყველა სოფელსაც აქვს ხაზინაში ეგრედ წოდებული „ბედლის ფული“ მხოლოდ წინამძღვარობა უნდა ამ საქმეში. მთავრობა ფულს არ დაუჭერს ამ აუცილებელ საჭიროებისათვის.

თითქმის ყველა ოჯახს მოჯამაგირე ჰყავს ორი-სამი ძროხისათვის. საბალახოზე რომ გარეკენ საქონელს, განა მთელი უბანი ერთად გაჰრეკავს და ორი ან სამს მეძროხეს ჩააბარებს საქონელს, არა: ერთი ძროხაც რო ჰყავდეს, ცალკე მოჯამაგირეს ატანს, ისე რომ ხან ბიჭები და საქონელი სოვადაში თანაბრად მიდიან. არა სჯობია, მთელმა უბანმა რამდენიმე მოჯამაგირე იქირაოს ერთად საქონლის მოსავლელად და ბოსლებიც სოფლის განაპირას აშენონ?!

კახეთის გლეხობა ვალშია ჩაფლული. სარგებელს თუმანზე თვეში აბაზიდან ათ შაურამდე ართმევენ მოვახშეები. ვინ არის ვალდებული შეუმსუბუქოს გლეხს ამისთანა აუტანელი მდგომარეობა? განა იმავე მომრიგებელ შუამავალს არ შეუძლიან ჩააგონოს ხალხს და მცირე კრედიტი საზოგადოება დაუარსოს?

კახეთში იმ დროს ჰკრეფენ გადასახადებს, როდესაც ღვინო ახალი დაწურულია და ჯერ ფასი არა აქვს. მაგრამ თხოვნა-მუდარა ამაოა. შიშით, წყლის ფასად ჰყიდიან მთელი წლის ამაგს, ნამუშევარს, ოღონდ როგორმე გადაურჩნენ დარბევას.

კაკიანთხეველი.

მებრეშუმეთა საყურადღებოდ

მოახლოვდა გაზაფხული და შეუდგნენ აბრეშუმის თესლის გამყიდველნი ფაცა-ფუცს. გაზეთითა თუ განცხადებებით მორთეს განგაში: არა მე ვყიდი კარგ თესლს და არა მეო. მყიდველი კი შეჰყურებს ეჭვის თვალით როგორც ერთს, ისე მეორეს და არ იცის, რომელია მისი დამღუპველი. უმეტესობა ჩვენებურ თესლის ვაჭრებისა სულ არ არის დაინტერესებული იმაში, რომ ღარიბ ხალხს საღი და რიგიანი თესლი მიაწოდოს; იგი მხოლოდ თავის ჯიბეს უყურებს და სცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოიგოს, ცუდს იაფად ყიდულობს და კარგის მაგიერ ასაღებს. არ დაგიდევს, რამდენი ოჯახი ატირდება იმის წყალობით. ასე იქცევიან დიდი ფირმებიც-კი. ცნობილმა ხრისტოდულიდის თესლმა, რომელსაც ჰყიდის „გოკიელოვის შვილების“ სავაჭრო სახლი, საშინლად დაიწია ღირსებით. ბევრს, ძალიან ბევრს აუტირა ამ თესლმა ოჯახი. ასე გასინჯეთ, შარშან პოლიციაც-კი ჩაერია საქმეში და სოფლებიდან შეუმოწმებელი ხრისტოდულიდის თესლიც აუარებელი გააძევა. ასეთ ფირმას, რომლის თესლიც უვარგისია, რამდენიმე წლით ეკვრის პირობით „გოკიელოვის შვილების“ სავაჭრო სახლი.

ხრისტოდულიდის თესლი წინად საუკეთესოდ იყო ცნობილი დასავლეთ საქართველოში. ძლიერაც ეტანებოდნენ. ხრისტოს ხრისტოდულიდი ცნობილი მეთესლე იყო, კარგი მცოდნე თავის საქმისა, და კარგი თესლიც გამოჰქონდა გასასყიდად. ეხლა კი, რაც ის გარდაიცვალა, მისი ფირმა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს. მას განაგებს ამ საქმეში უცოდინარი მისი ძმა—თესლს ამზადებს აპოსტოლიდისი და ჰყიდის ხრისტოდულიდის თესლად. თესლი ის არ არის, რაც იყო, ამას რამდენიმე წლის მწარე გამოცდილება მოწმობს.

აიღეთ კოლოფი, რომელსაც ი. გოკიელოვის სავაჭრო სახლი აცხადებს ხრისტოდულიდისად, შენიშნავთ შემდეგს: კოლოფზე თათრულ და ფრანგულ წარწერით თესლის დამზადებელად აღიარებულია სტრატი აპოსტოლიდისი. ქართულ-რუსულადაც ისევე უნდა ეწეროს, ნამდვილად კი რუსულად აწერია: „бывшій домъ“ ხრისტოდულიდისა, ხოლო ქართულად ძველი სავაჭრო ხრისტოდულიდისა. მექარხნე ხრისტოდულიდის სახელი დიდ და წითელ ასოებით არის ქართულ-რუსულად წარწერილი, ხოლო მეთესლის, რომლის ფირმითაც და რომლის დამზადებულიც არის თესლი, სახელი სრულიადაც არა სწერია ჩვენთვის გასაგებ ენით. ასე რომ არ ექნათ და ქართულადაც დაეწერათ კოლოფზე, მაშინ ხრისტოდულიდისად ვერ გაასაღებდნენ ხრისტოდულიდის მემკვიდრეები. სურათი გარდაცვალებულ ხრისტოდულიდისა ძველებურად გამოუხატავთ კოლოფზე, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ეს აღუნიშნავთ ფაბრიკის მარკათ, რაც ქვეშ მარტო ფრანგულად აწერია. სხვა მხრივ კოლოფის ფირმა და „იარლიკის“ ფერი ძველებურად დაუტოვებით, რომ კარგად შეატყუონ მეაბრეშუმეებს თესლი. ამ რიგად, ხ. ხრისტოდულიდის მემკვიდრე აპოსტოლიდისს თესლს ჰყიდის თავის გარდაცვალებულ ძმის სახელით. ჩვენებური მეაბრეშუმენი ხშირად მხოლოდ კოლოფის გარეგნობას აქცევენ ყურადღებას, რადგან ჰგონიათ, რომ სურათიანი თესლი ხრისტოდულიდის მომზადებულიაო. ნამდვილად-კი აქ ძველებურ ფორმის კოლოფში სრულიად ახალი და ჩვენთვის უცნობი კაცის თესლია.

ასეთმა მოვლენამ ეს ორი წელიწადია ჩვენებური მეაბრეშუმეები ძალზე დააზარალა. დროა ამ უკუღმართობას ფარდა აეხადოს, დროა ჩვენებურმა მეაბრეშუმეთა ამხანაგებმა ყურადღება მიაქციოს ამას და თუ წინ არ აღუდგებიან, გავრცელებაში ხელს მაინც ნუ შეუწყობენ, იმ დრომდე, სანამ არ დარწმუნდებიან თესლის სიკარგეში.

ალ. ილიაძე.

ქალაქის საბჭო

8 თებერვალი.

განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილი იყო განცხადება აწ „სახელოვან“ ს. მირზოევისა და ამ გარემოებამ 40 ხმოსანი მოუყარა თავი, რაც იშვიათი მოვლენაა ქალაქის საბჭოს ცხოვრებაში. გარეშე ხალხიც მრავალი დაესწრო.

სხდომა დაიწყო ხმ. არ. სტ. ბუდდან ბალდასაროვის შეკითხვით. იგი შეეკითხა თავმჯდომარეს: აგვიხსენით რომელ ხმოსნებს გულისხმობს გაზ. „ზაკ.“ თანამშრომელი ოსტროვსკი თავის წერილში, სადაც იგი ამბობს, რომ ერთი ხმოსანი უსახელო საზოგადოებას ეკურკურება, მეორე ქალაქის ინტერესების წინააღმდეგ სასამართლოებში საქმეს აწარმოებს, მესამე მოიჯარადრეა და სხვ. თავმჯდომარემ სთქვა: გამგეობა ამ წერილის გამო შეეკითხა ბ-ნ ოსტროვსკის, რომელიც გვატყობინებს, რომ მოკურკურე ხმოსნად სახეში ჰყავს ყოფილი ხმოსანი ს. მირზოევი, მოიჯარადრედ ტ. ა. ენფიანჯიანცი, ხოლო ქალაქის ინტერესების წინააღმდეგ საქმეების მწარმოებელ ხმოსნად არტ. ახნაზაროვი. ოსტროვსკი ბ-ნ სტ. ქრელაშვილსაც გულისხმობს, მაგრამ არავისათვის ახალი ამბავი არ არის, რომ იგი უსახელო საზოგადოების სამსახურშია. გარდა ამისა, ბ-ნი ოსტროვსკი ენფიანჯიანცის შესახებ ბოდიშს იხდის და ამბობს, რომ იგი შეცდომაში შეიყვანეს, რადგან იმ საზოგადოებაში, რომელიც საიჯარო საქმეებს იღებს ქალაქისას და რომელშიაც მონაწილეა მეუღლე ბ-ნ ენფიანჯიანცისა, თვით ხმოსანი არავითარს მონაწილეობას არ იღებსო. გამგეობას აღუძრავს პრინციპიალური საკითხი, შესაძლებელია თუ არა, ხმოსანი სასამართლოში ქალაქის წინააღმდეგ საქმეებს აწარმოებდეს კერძო პირთა სასარგებლოდ. ეს საკითხი განსახილველად იურიდიულ კომისიაში გადაეცით. ამასთანავე გამგეობას მიუღია ვრცელი მოხსენება ხმ. არ. ახნაზაროვისაგან. ახნაზაროვს თავის მოხსენებაში მოჰყავს სხვა და სხვა მოსაზრება და ასაბუთებს იურისტ ხმოსნისათვის გამგეობის წინააღმდეგ საქმის წარმოების შესაძლებლობას. ახნაზაროვი ამბობს, სულ სამი საქმე იყო ასეთი: ერთი ჯერ არ გარჩეულა, მეორე მოისპო, ხოლო მესამე საქმე შერიგებით დასრულდაო. თუ ხმოსანი პატიოსანია, რაიმე განზრახვებით არ არის გამსჭვალული, შეუძლიან საქმე აწარმოოს ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგაო. ამას შეიძლება ნაყოფიერი შედეგიც მოჰყვეს, რადგან ხმოსანი ეცდება საქმე არ გამწვავდეს და თავისი კლიენტი მშვიდობიანად მოარიგოს თვით-მართველობასაო. ხმოსანს მაგალითიც მოჰყავს. ერთის საზოგადოების მხრით ქალაქის წინააღმდეგ საქმეს აწარმოებდა ხმოსანიო. თუ მსხვილი ფირმის წარმომადგენლობა შეიძლება იკისროს ხმოსანმა, რატომ წვრილი საქმის უნდა აეკრძალოს ისეთსავე ხმოსანსაო. ახნაზაროვის აზრით, ეს საქმე საბჭომ პრინციპიალურად უნდა გადასწყვიტოს. ხმოსნებად არიან ქალაქის გამგეობის მსახურნი—დამფასებელი და სხვანიო.

იურიდიულ კომისიას განუხილავს ეს საკითხი. კომისია ამბობს, თუმცა ამ საკითხის შესახებ კანონში საწინააღმდეგო არაფერია, მაგრამ ეთიკის მხრით შეუძლებელია, ხმოსანმა, რომელსაც ქალაქის ინტერესების დაცვა აქვს დავალებული, ისეთი საქმეები იკისროს, რომელნიც აიძულებენ იმოქმედოს ქალაქის წინააღმდეგაო.

საბჭო ამ განმარტებებით დაკმაყოფილდა და დაავალა გამგეობას, ახლო მომავალში წარუდგინოს მოხსენება არსებითად საკითხის განსახილველად.

სტ. ქრელაშვილმა სთქვა: ჟურნალისტების კრების ანგარიშის დამწერი გაზეთში ამბობს, ვითომ აღნიშნულ სხდომაზე გამორკვეულიყოს ჩემი მონაწილეობა მირზოევის საქმეში. თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარე, ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ, დაესწარით ამ სხდომას და გთხოვთ, ახსნათ, როგორ დამტკიცდა ჩემი მონაწილეობა მირზოევ-ბატაილის საქმეში.

ა. ხატისოვმა განაცხადა: ერთმა ორატორმა ჟურნალისტების სხდომაზე პორტფელი აიღო ხელში და კრებას განუცხადა, აქა მაქვს სტატია ერთის ხმოსნის, სახელდობრ სტ. ქრელაშვილისა. ეს სტატია მირზოევის მიერ არის მოწონებული. ამ სტატიაში ხმოსანი ამბობს: გამგეობა რად ეძებს ლურჯს ჩიტს, როცა იგი ხელში უჭირავსო. შემდეგ მოთხრობილია, როგორ უნდა მოაწყოს ქალაქის გამგეობამ ელექტრონის განათება.

სტ. ქრელაშვილი: ელექტრონის განათების შესახებ კომისიაც არის არჩეული. როგორც მე, ისე სხვა ხმოსნებმა დიდ-ძალი მასალა შევკრიბეთ. თუ ეს საქმე მოეწყობა, ყველასათვის სასიამოვნო და სასიხარულო იქნება და არ მესმის, ცუდი რა ჩავიდინე? რაც შეეხება მირზოევს, მე არა თუ მირზოევისა, არავის „აპეკუნობას“ არა ვსაჭიროებ, მე თვით ვიცი ჩემი საქმეო.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა განცხადება ს. მირზოევისა. მირზოევი მადლობას უთვლის საბჭოს, რომ ნება მიეცა თავის გამართლებისა და თან სწერს, ცნობილ საქმის შესახებ იმაზე მეტი, რაც გამგეობას მივწერე, არა მაქვს-რა სათქმელიო. საბჭომ მხედველობაში მიიღო მირზოევის განცხადება.

ხმ. არაქელიანცმა სთქვა: გაზეთები სწერენ, რომ გამგეობამ უსახელო საზოგადოებას ქების ფურცელი გაუგზავნაო. გაგვაგებინეთ, რა ქების ფურცელი მიართვით უსახელო საზოგადოებასაო.

თავმჯდომარე: სასიამოვნოა ეს შემთხვევა, რომ გავაცნო საბჭოს საქმის ვითარება. საქმე იმაშია, რომ დირექტორმა სრულიად უსაფუძვლოდ დაითხოვა 50 მუშა სამსახურიდან. მუშებმა მოსვენება არ მოგვცეს და ვთხოვეთ ბატაილს, უკანვე მიეღო. ბევრის მუდარის შემდეგ ბატაილმა შეასრულა ჩვენი თხოვნა და ამასთან ჩვენმა დამოკიდებულებამ საზოგადოებასთან კარგი ხასიათი მიიღო, რადგან ბატაილი ყოველს ჩვენს შეკითხვაზე დროზე პასუხს გვაძლევდა. ბოდიშიც მოიხადა ერთიც ინციდენტის შესახებ. მუშების მიღებისთვის გამგეობამ ბატაილს მადლობა გადაუხადა, ბატაილმა ითხოვა, ბრიუსელის გამგეობასთან წერილობით დამიმოწმეთ, რომ ტრამვაის საქმეები გამოკეთდა, მოძრაობა წესიერია და სხვა. ჩვენც შევასრულეთ ეს თხოვნა, რადგან წინანდელთან შედარებით მართლაც წესიერი მიმოსვლა დამყარდა. აი, ჩვენი ქების ფურცელი.

საბჭო დაკმაყოფილდა ამ განმარტებით.

ხმ. ხუნუნცმა და გ. ხატისოვმა წინადადება შეიტანეს, უსახელო საზოგადოებას გაკიცხვა გამოეცხადოს იმ არა საკადრისს საქციელისათვის, რომელიც ერთი ხმოსნის შუამავლობით, მან ჩაიდინაო. გ. ხატისოვმა ისიც დაუმატა, რომ მექრთამეობა-მოსყიდვის ამბავი უსათუოდ უნდა ეცნობოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს. ხმ. ტიგრანოვი და ვ. დოლუხანოვი წინააღმდეგნი იყვნენ ამ სხდომაზე ამ საკითხის არსებითად განხილვისა. დიდის ხმის უმეტესობით საბჭომ დაადგინა: გამოეცხადოს უსახელო საზოგადოებას გაკიცხვა (Осужденіе) იმის გამო, რომ მან წინადადება მისცა ხმ. მირზოევს მოესყიდნა ჟურნალისტები საზოგადოების ინტერესების დასაცველად და ეს ამბავი ეცნობოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს.

საბჭომ რამდენიმე მიმდინარე საქმეც განიხილა. საბჭომ მოისმინა ქალაქის თავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობის ამბავი. რადგან ქალაქის თავს კიდევ ორი თვე დასჭირდება ექიმობა, გამგეობას დაუდგენია 2 ნახევარ თვის ჯამაგირი წინ-და-წინ გაუგზავნოს. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. 7 თებერვლისათვის დანიშნული ბენეფისი დ. ჩარკვიანისა არ შესდგა. უმთავრესი მიზეზი პიესის წარმოსადგენად ნების დაურთველობა იყო, მაგრამ ისიც მხედველობაში მისაღებია, რომ ზოგჯერ ბენეფისი მსახიობისათვის არც თუ მაგრე სასარგებლოა, როგორც, მაგალითად, ბ-ნ ვ. ბალანჩივაძის ბენეფისი გამოდგა. მსახიობმა შემოსავლით ხარჯი ძლივს გაისტუმრა და, ვგონებ, ცოტაოდენი თავისიც დაამატა. სწორედ იმ საღამოს, რა საღამოსაც ამ ნიჭიერ მსახიობის ბენეფისი იყო, ქუთათურები თავ-ქუდ მოგლეჯილნი ნიკიტინის ცირკში გარბოდნენ იაპონელების სანახავად და ბილეთებს ერთმანეთს ხელიდანა სტაცებდნენ. ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ საზოგადოების ერთი ნაწილი ჯეროვნად ვერ აფასებს იმას, რაც უფრო დასაფასებელია. მაგრამ დღევანდელის სინამდვილით რომ ყველამ გული გაიტეხოს, მაშინ ხომ ყველა ჩვენი საზოგადო ასპარეზი უდაბნოდ გადაიქცევოდა. ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ ბ-ნ ბალანჩივაძეს, ამგვარ შემთხვევებში ყველაზე ადრე ეწვევა ხოლმე უიმედობის აჩრდილი...

6 და 7 თებერვალს დასმა ორი იაფ-ფასიანი წარმოდგენა გამართა. გაიმეორეს უკვე ნათამაშნევი პიესები: „ქეთევან წამებული“ და „მარგარიტა გოტიე“.

პირველმა პიესამ სუსტად ჩაიარა. თუმცა როლები ძველებურად იყო განაწილებული, მაგრამ აკლდა პიესას ის ანსამბლი, რომელიც პირველ წარმოდგენას აკავშირებდა.

მესამე სურათი და მასთან ყველაზე უფრო დრამატიულიც—სულ გაფუჭდა. ვიღაც ფეხ-მოქცეული სტატისტი დეკორაციას წამოედო. თვითონაც გაიშხლართა და „მთაგორაკების“ პირველი წყებაც გადმოაქცია. ამ გარემოებამ შეგნებულ მოთამაშეებზე ცუდი გავლენა იქონია და სცენამ უგემურად ჩაიარა.

სამაგიეროდ მეორე პიესა ბევრად უკეთ იქნა შესრულებული, ვიდრე პირველ წარმოდგენის დროს.

ჩხეიძემ იშვიათი გავლენა მოახდინა მაყურებლებზე. თვით იმათზედაც-კი, ვისაც ეს მსახიობი მრავალჯერ უნახავთ ამ როლში. ბ-ნი იმედაშვილიც უკეთესი იყო, ვიდრე წინად. უნდა შევნიშნოთ-კი, რომ ბ-ნ იმედაშვილს ხშირად უნებური ღიმილი ეწვეოდა ხოლმე. არმანის მდგომარეობაში სასაცილო ძლიერ ცოტაა, და რა მიზეზიც უნდა იყოს ღიმილის გამომწვევი, მსახიობი შეგნებულად უნდა სცდილობდეს ნაკლი თავის თამაშს ააცდინოს.

დარბაისელი და ჩინებული დიუვალი იყო ბ-ნი გუნია. შენიშვნას უშედეგოდ არ ჩაუვლია და ბ-ნ კორიშელისა და ქ-ნ ურბნელის მოქმედებასა და ხმას ბოლო სურათში მეტი სითბო და თანაგრძნობა ეტყობოდა.

შაბათს, 13 თებერვალს, შალვა დადიანი თავის საბენეფისოდ სდგამს ახალ პიესას „ქალის ჭკუას“.

ჯაფარ-ფაშა.

წარმოდგენები კარგი იყო და ხალხიც ბლომად დაიარებოდა. ამ სეზონში აბონიმენტებიც დავნიშნეთ და მით ჩვენს დიდკაცობას თეატრში სიარული გავაბედვინეთ. ბენეფისებიც დავუნიშნეთ ზოგს მსახიობს, ისე, რომ ეს სეზონი ნამდვილი, ყოველ მხრივ მოწყობილი სეზონი იყო, ისეთი, როგორსაც ყველა არსებული ნამდვილი თეატრი წარმოადგენს.[31] ეს იყო თითქოს ჩვენი წრის თორმეტი წლის შრომა, მოქმედების გამოცდა და ამ გამოცდამ ცხადად დაგვანახვა, რომ ჩვენ მოყვარულთა „წრის“ შრომა უკვე დამთავრებულად ჩაითვლებოდა და რიგიანი მოვლის მეტი მას აღარა ესაჭიროებოდა. და თუნდაც რომ ჩვენს წრეს სხვისა მზრუნველობაშიაც გადაეცა იგი, მას აღარა დაუშავდებოდა რა. ზედ დატანებით ეს გადაცემაც უნდა მომხდარიყო 1880 წ. სეზონის დასასრულს. ერთი წლის წინად მთავრობისადმი დასამტკიცებლად წარდგენილი „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ წესდება დამტკიცდა და ჩვენმა მოყვარულთა წრემ თავისი კომიტეტის[32] ხელით იმავე წლის ბოლოში თავის მიერ შექმნილი და დამთავრებული საქმე იმ „საზოგადოებას“ გადასცა საწარმოებლად და მოსავლელად.

საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა „დრამატიულ საზოგადოების“ დაარსებაზედაც ვსთქვა.

ამ საზოგადოების იმ ჟამადი დაარსება ჩვენი კომიტეტის ინიციატივას არ ეკუთვნის და მისი წესდებაც უჩვენოდ დაიწერა.[33]). ჩვენი აზრი იყო: სცენის მოყვარულთა „კომიტეტს“ წესდებით დაარსებული „საზოგადოება“ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მას დაარსებას ჯერ უდროოდ ვსთვლიდით. ამისთვის ჯერ არც საკმაო საგამგეო პირნი და არც საკმარისად მისთვის მომზადებული საზოგადოება გვეგულებოდა, რომ გამგეობის არჩევნებს მოფიქრებით და მიუკერძებლად მოჰკიდებოდნენ. ვფიქრობდით, რომ „საზოგადოების“ დაარსებით ფორმალური ხასიათი მიეცემოდა საქმეს, არჩევნებს ზეზეპირად მოეპყრობოდნენ და ცოცხალს, იმდენი შრომით სულ-ჩადგმულ, დამთავრებულს, მაგრამ ჯერ ნორჩ საქმეს, ან ერთ ალაგს გაჰყინავდნენ და ანუ დავიწყებას მისცემდნენ. ამიტომაც ვარჩევდით რამდენიმე ხანს, ვიდრე საქმე მომაგრდებოდა, ისევ შინაურულად, ოჯახობრივად გვეწარმოებინა იგი. ვცდებოდით თუ არა, ამის პასუხად მარტო იმ ფაქტს გავიხსენებ, რომ 1880 წ. დაარსებულმა „საზოგადოებამ“ მთელს ექვს წელიწადს მიიძინა. ახალთექის ექსპედიციიდან რომ ჩამოველ თბილისში (1882 წ.), ერთი წელიწადი, თუ მეტი, საკუთარ საქმეებს მოვუნდი და შემდეგ, როცა მოვიცალე, რაღა თქმა უნდა, „დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობას დავუწყე ძებნა. ყველაზედ უწინ, რასაკვირველია, თავ. გ. თუმანიშვილს მივმართე და იმისგან მხოლოდ ის გავიგე, რომ პირველ გამგეობაში თუმცა წევრად იყო არჩეული, მაგრამ მალე გამოსულიყო, რადგან საქმიანობას ჩვეული, მარტო ლაპარაკით მუშაობა ვერ მოეხერხებინა. ისიც გავიგე, რომ გამგეობას წარმოდგენების მართვისთვის პირველი ხნიდგანვე თავი დაენებებინა და იგი ანტრეპრიზისთვის გარდაეცა, ხოლო ანტრეპრიზა კი რიგიანად ვერ აწარმოებდა საქმეს. შემდეგ დავიწყე მოგზაურობა ხან ანტრეპრენიორ ნებიერიძესთან და ხან მაშინდელი „დროების“ რედაქციაში. დაბეჯითებით ვერავინ მითხრა, გამგეობაში წევრად ვინ იყო და სად იმყოფებოდნენ. ხოლო რაიცა შეეხება გამგეობის კრებებსა და მათს საქმიანობას, ამისი არავინ არა იცოდარა. თანაც შევიტყე, რომ ანტრეპრიზის წარმოდგენები უხერხულად, უპატრონოდ სწარმოებდნენ; არტისტებიცა და ანტრეპრენიორიც თავიანთ გარემოების უმადურნი იყვნენ. მაშინ ლაპარაკი აღვძარ იმაზედ, რომ საჭირო იყო „საზოგადოების“ წევრებს უთუოდ საგანგებო კრება დაენიშნათ. თითქმის ორი წლის ლაპარაკისა და ძიების შემდეგ ძლივს მივაგენით გამგეობის თავმჯდომარეს, თ. რაფ. ერისთავს, და, როგორც იყო, საგანგებო კრება დავანიშვნინეთ. კრება („საზოგადოებისა“) 1886 წ. მოხდა, პირველ ნახევარში; თავად-აზნაურთა თეატრში იყო. გამგეობისთვის ადგილი სცენაზედ იყო დანიშნული, ხოლო საზოგადოების წევრნი პარტერში ისხდნენ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც შვიდი წევრიდგან და ხუთი მისი კანდიდატიდგან მარტო ერთი თავმჯდომარე თ. რ. ერისთავი გამოვიდა სცენაზედ და თავის ადგილს დაჯდა. გაოცებულნი შევეკითხენით: სად არიან გამგეობის სხვა წევრებიო? და იმანაც მეტად დაჩაგრული ხმით გვიპასუხა: როგორც ეხლა თქვენ ვერა ჰხედავთ იმათ, ისე მე არჩევის დღიდგან ისინი არ მინახავსო. ახალი გამგეობის არჩევა მოვითხოვეთ. მაშინ ერთმა ჩემ გვერდზედ მჯდომარე დიდად პატივცემულმა პირმა, თითქოს ჩაგონების კილოთი, მტკიცება დამიწყო, რომ ეგ უკანონო იქნებაო, რადგან ვადაზე ადრე გამგეობის წევრთა გამოცვლა, ვიდრე დათხოვნის ქაღალდს თვითონ არ შემოიტანენ, არ შეიძლებაო; სამი წლის ვადა კი ჯერ არ შესრულებიათო. იმისთანა სასაცილო გარემოებაში ამისთანა „კანონიერ“ საბუთებს აბა ყურს ვინ დაუგდებდა. ყრილობამ ახალი გამგეობა აირჩია და ეს არჩეულნი აღმოჩნდნენ: ძველი „კომიტეტის“ წევრები: თ. გ. თუმანიშვილი, თ. დ. ერისთავი, თ. იოს. ანდრონიკაშვილი და მე; და ახლები: თ. ვას. თუმანიშვილი, ვას. სულხანიშვილი და მეშვიდე აღარ მახსოვს. ამ გვარად 1880 წ. დაარსებულმა და მაშინვე მიძინებულმა „დრამატიულმა საზოგადოებამ“ მხოლოდ 1886 წ. გამოიღვიძა—ახალ „გამგეობისგან“ ძველი „კომიტეტისებური“ საქმიანობის გაგრძობით—სეზონების მართვითა და სხვ. ეს გამგეობა სამი ვადა ხელახლად ირჩეოდა საზოგადოებისგან, და 1895 წელს კი სხვა და სხვა საზოგადოების წევრთა, მომქმედებლობის მიზეზით ერთიანად გავიდა გამგეობიდან.

ნიკ. ავალიშვილი.

(დასასრული იქნება)

---

[31] ამ წარმოდგენებიდან 10948 მან. 50 შემოვიდა, თითო წარმოდგენაზედ ორთაშუა ანგარიშით 405 მ. 50 კ. ბენეფისიანთ წარმოდგენის შემოსავლიდან ეძლეოდა ის ფული, რაც 200 მან. აღემატებოდა.

[32] ამ უკანასკნელ კომიტეტში 1879 წ. 11 აპრილს იყვნენ არჩეულნი მოყვარულთაგან: დიმ. ყიფიანი, თ. გ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, იოს. ბაქრაძე და მე. ალ. სარაჯიშვილმა დაჰყო მხოლოდ თვე-ნახევარს, რადგან სამსახურის გამო იმავე წლის მაისის გასულს ახალთექის ექსპედიციაში გაიგზავნა. დიმ. ყიფიანი 1879 წელშივე გავიდა კომიტეტიდან და მეც ეგრეთვე 1880 წ. ივნისამდის დავრჩი მხოლოდ და 4 ივნისს იმავე ექსპედიციაში მომიხდა წასვლა. ჩემს წასვლამდის არ მახსოვს, რომ ყიფიანისა და სარაჯიშვილის მაგიერ ვინმე შემოსულიყოს კომიტეტში, ხოლო ჩემი წასვლის შემდეგ სულაც არ ვიცი, ვისით შეივსო კომიტეტი. გარნა თ. გ. თუმანიშვილის ცნობით (მისივე „მოგონებიდან“) სჩანს, რომ იგი შევსებულა: თ. ილია ჭავჭავაძით, ვანო მაჩაბლით, დ. ერისთავით, იოს. ანდრონიკაშვილით და დ. სარაჯიშვილით. მაშ ილია ჭავჭავაძე, დ. ერისთავი და დ. სარაჯიშვილი მეორედ შესულან კომიტეტში, რადგან იგინი ამ კომიტეტის წევრებად ადრეც იყვნენ, სახელდობრ: ილ. ჭავჭავაძე 1877/78 წ. კონსტან. მამაცაშვილთანა და ქართველიშვილთან ერთად, და დ. ერისთავი და დ. სარაჯიშვილი—1878—1879 წ.-ში.

[33] როგორც მაშინ გამიგონია, წესდება ბ-ნ ნიკოლაძის დაწერილია.

ქიათურა. დღეს, 7 თებერვალს, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქიათურის განყოფილების გამგეობამ გამართა თეატრის დარბაზში სალიტერატურო დილა პოეტის ვაჟა-ფშაველას სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად და მგოსნის პატივსაცემლად. აიხადა ფარდა და მაყურებლის თვალს წარმოუდგა მშვენივრად მოწყობილი სცენა. სცენის შუაგულ იდგა ვაჟას მოზრდილი სურათი, ლამაზად მორთულ-მოკაზმული დაფნა-სუროს მწვანე ფოთლებით და ელექტრონის ვარსკვლავით განათებული. პოეტის სურათს საზოგადოება ტაშისცემით შეგება.

პირველად ივ. გომელაურმა გააცნო დამსწრეთ ვაჟას მოკლე ბიოგრაფია. შემდეგ კიტა აბაშიძემ დაახასიათა პოეტის ლიტერატურული მოღვაწეობა, გააცნო რა საზოგადოებას ვაჟას პოეზიის უმთავრესი მოტივები. მთელი საათის განმავლობაში საზოგადოება დიდის გულმოდგინეობით და სიამოვნებით უსმენდა მას. ამ დახასიათებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე და ამათაც ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს ლექტორი.

ამის შემდეგ წაიკითხეს ვაჟას რჩეული ლექსები და მოთხრობები, რიცხვით ოცამდე. კითხვაში მონაწილეობას იღებდნენ: ივ. გომელაური, ვ. ხუროძე, ს. ტარუაშვილი, გ. ანთელიძე, ალ. მითაიშვილი, ივ. წერეთელი, გ. ნუცუბიძე, ნ. კიკალიშვილი და ივ. აპტალიძე. ლექსის კითხვა საზოგადოდ და ვაჟას ლექსი განსაკუთრებით დახელოვნებულს მკითხველს მოითხოვს. ვაჟას ლექს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, თავისებურება, რომელიც ამ ლექსებს შეუჩვეველ ყურს ადვილად გაუსხლტება. ზოგი ლექსი სუსტად იყო წაკითხული და სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მაყურებელზე. გამოთქმა და ინტონაცია სუსტობდა ხშირად.

მცირე შენიშვნა დილის გამმართველთაც: ბიოგრაფიის და ლექციის შემდეგ საჭირო იყო მცირე ანტრაქტი, შესვენება. რაც უნდა ძალა დაატანოს საზოგადოებამ თავს, ორ საათნახევრის განმავლობაში ვერ შესძლებს გულისყურით და დაუღალავად უსმინოს ლექტორსა და მკითხველებს, თუგინდ ისეთს საინტერესო საგანსაც ეხებოდენ ისენი, როგორიც ვაჟას ნაწარმოები და მისი დახასიათებაა. პარტერში ხმებიც გაისმოდა „დავიღალენითო“.

ვაჟას საერთოდ ქართველი საზოგადოება ჯერ ხანად ნაკლებად იცნობს, განსაკუთრებით აქ, ქიათურაში. ამიტომ ძლიერ სასიამოვნო და სასურველი იყო ამ დილის გამართვა. თეატრი თითქმის სავსე იყო ხალხით, თუმცა განცხადებები გვიან გაიკრა. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა. საჭიროა ხშირად გაიმართოს ასეთი ლექცია—კითხვები.

დასასრულ მოხდა წ.-კ. საზოგ. ადგილობრივ განყოფილების საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც მიიღეს ახალი წევრები და აირჩიეს განყოფილების თავმჯდომარედ კიტა აბაშიძე, ნაცვლად გ. ქუმბურიძისა, რომელმაც, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, თავმჯდომარეობას თავი გაანება.

მონაპირე.

—

ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათს, 11 თებერვალს, ქ-ნ ნ. დავითაშვილის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ი. პოტაპენკოს „მომხიბლავი ზღაპარი“, თარ. შ. დავითაშვილისა; ქ-ნი ნ. დავითაშვილი შეასრულებს ნაცროს როლს.

უცხოეთი

ასკვიტის სამინისტროს მდგომარეობა. ინგლისის კონსერვატიული პრესა ირწმუნება, რომ ასკვიტის სამინისტროს აუცილებლად განხეთქილება მოუვა ირლანდიელებთან. თუ ასკვიტი ლორდთა პალატის რეფორმას ბიუჯეტის დამტკიცებამდე არ მოითხოვს, ირლანდიელები უთუოდ გაილაშქრებენ სამინისტროს წინააღმდეგიაო. კონსერვატიული გაზ. „დეილი მეილ“-ი ირწმუნება, რედმონდმა იმ სიტყვაში, რომელიც მან დუბლინში ირლანდიის ეროვნულ პარტიის კონფერენციის დროს წარმოსთქვა, ნამდვილი ულტიმატუმი წარუდგინა სამინისტროსაო. ნამდვილად-კი სამინისტროს მდგომარეობა როდია ასეთი სამწუხარო. რედმონდს პარტიულ კონფერენციის დროს ნამდვილად უთქვამს შემდეგი: „თუ ასკვიტი ვერ დაგვარწმუნებს, რომ იგი წელსვე შეიძლებს ლორდთა პალატის „ვეტოს“ უფლების გაუქმებას, და თუ იგი, მიუხედავად ამისა, მაინც დარჩება თავის თანამდებობაზე და ბიუჯეტის დამტკიცებას მოინდომებს,—ასეთს პოლიტიკას ირლანდია არ მოიწონებს. თუ ცალ მხარეს ჰომრულს (ავტონომიას) დააყენებენ, ხოლო მეორე მხარეს—ბიუჯეტს, მაშინ მე ბიუჯეტის წინააღმდეგი ვიქნები. მაგრამ თუ ბიუჯეტისა და ჰომრულის საკითხებს ერთად დააყენებენ, მეც ბიუჯეტს მივცემ ჩემს ხმასაო.

კანონპროექტი მუშათა პენსიებზე საფრანგეთში.

ამ ათიოდე დღის წინად საფრანგეთის სენატმა დაასრულა მუშათა პენსიების შესახებ პირველი კანონპროექტის განხილვა და მიიღო იგი 297 ხმის უმეტესობით. მოსალოდნელი არაა, რომ მეორედ განხილვის დროს სენატმა არსებითად შესცვალოს ეს კანონპროექტი: დეპუტატთა პალატაც, იმედია, შეუცვლელად დაამტკიცებს მას. უკვე ოთხმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც ეს კანონპროექტი მიიღო დეპუტატთა პალატამ. სენატის კომისიამ ძლიერ შესცვალა იგი იმ საბუთით, რომ პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი უზომო ხარჯს მოითხოვს ხაზინისაგანო. სენატის კომისიამ მოუმატა პენსიონერების ხნოვანებას: პალატის პროექტით პენსია ეძლეოდა მუშებს 60 წლიდან, ხოლო კომისიის პროექტით უნდა მიეცეს 66 წლიდან; კომისიამ გააუქმა აგრეთვე პალატის დადგენილება, რომ ის მუშები, რომლებიც დღეში 1 ნახევ. ფრანკზე ნაკლებს იღებენ, განთავისუფლებულ იქნებიან სავალდებულო შესატანისაგან საპენსიო ფონდის სასარგებლოდაო, დააწესა საერთო სავალდებულო შესატანი ყველა მუშებისთვის და სხვა.

ამ კანონპროექტით, ყოველ მუშას წელიწადში შეაქვს—9 ფრანკი, ამდენივე მის მაგივრად შეაქვს მრეწველს, მუშა-ქალს შეაქვს—6 ფრანკი, 18 წლისაზე ახალგაზდა მუშებს—4 ნახევ. ფრანკი, ხოლო ხაზინას თავის მხრივ წელიწადში 150 მილიონ ფრანკს იხდის საპენსიო ფონდის სასარგებლოდ. ეს კანონი შეეხება ყველა მუშებს (სოფლელ და ქალაქელ მუშებს, მოსამსახურეებს და სხვებს) გარდა რკინის გზებისა, მთა-მადნებისა და სავაჭრო ფლოტის მუშებისა, რომლებსაც უკვე ეძლევათ პენსიები. საერთოდ ეს კანონი შეეხება დაახლოვებით 11 მილიონ სულს. თუ მოისურვებენ, საპენსიო ფონდში ფულის შეტანა შეუძლიანთ აგრეთვე იჯარადრებს, ფერმერებს და მიწის წვრილ მესაკუთრეებს. ეს კანონი რომ დამტკიცდება, წელსვე 65 წლის მუშები მიიღებენ პენსიებს —წელიწადში 100 ფრანკს.

მოძრაობა ინდოეთში.

პოლიტიკურ მკვლელობას ბოლო არ ეღება ინდოეთში. ტერორისტები ხშირად ეცემიან სოფლისა და ქალაქის პოლიციის წვრილ-მოხელეებს და მოსვენებას არ აძლევენ ინგლისის ადმინისტრაციას. ტერორისტულ აქტებში უფრო საყურადღებო იყო ორი.

წარსულ დეკემბრის გასულს მოჰკლეს ოლქის მოსამართლე ჯეკსონი, რომელიც ბეჯით მონაწილეობას იღებდა მრავალ პოლიტიკურ საქმის გარჩევის დროს. ჯეკსონის მკვლელი აღმოჩნდა ახალგაზდა ინდოელი, ევროპიულად განათლებული.

ამ მკვლელობის შემდეგ, წარსულ იანვრის 24-ს ქალაქ კალკუტაში მოჰკლეს პოლიციის ინსპექტორი (მაძებარ განყოფილების უფროსი). მკვლელი აღმოჩნდა ისევ ახალგაზდა ინდოელი, დიდის კაცის შვილი, კარგად განათლებული.

პოლიტიკურ პროცესების დროს ზოგიერთი დამნაშავე და მოწმეები იტყოდნენ ხოლმე, რომ „ანარქისტული იდეები“ და „სიძულვილი ინგლისის ადმინისტრაციისადმი“ ინდოეთის პრესის წერილებიდან შევითვისეთო. მართლაც და ინდოეთის პრესა მძლავრი იარაღი გამოდგა ეროვნულ აზრების გასავრცელებლად. ამიტომ მთავრობაც დიდი ხანია იბრძვის მის წინააღმდეგ, მაგრამ ვერა-რას ხდება. პრესა როდი ჰქმნის, იგი მხოლოდ გამოთქვამს უკმაყოფილებას. მთავრობამ ახალი სასტიკი ღონისძიება მიიღო ადგილობრივ პრესის წინააღმდეგ, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ღონისძიებითაც გახდეს რასმე, მით უმეტეს, რომ წინანდელი კანონებიც მეტის-მეტად სასტიკი იყო.

მაგალითად მოგვყავს ინდოეთის სასჯელთა დებულების მე-153 მუხლის პირველი პარაგრაფი, რომელიც შეეხება ბოროტ-მოქმედ აგიტაციას:

„ყველა, ვინც ეცდება სიძულვილი დანერგოს სხვა და სხვა კლასთა შორის სიტყვისა, პრესისა, სურათებისა ან სხვა რაიმე საშუალებით, დასჯილ იქნება საპყრობილეში დაპატიმრებით და ჯარიმით, ხოლო დაპატიმრების ვადა უნდა აღემატებოდეს 2 წელიწადს“.

ეს კანონი შესცვალეს 1897 და 1899 წლებში და ჯარიმა გაადიდეს. მაგრამ ამ სასტიკმა კანონებმა სრულებით ვერ შეაშინეს ინდოეთის ხალხი. პირიქით, ეროვნული აგიტაცია და ფართე თვითმმართველობის მოთხოვნა ძლიერდება დღე და დღე. მთავრობის სასტიკობა მხოლოდ უარესად ამწვავებს ხალხს და პოლიტიკურ მკვლელობას ახშირებს.

თუ რამდენად სამწუხარო მდგომარეობაშია ინდოელი, ეს გამოარკვია ინგლისის პარლამენტის ცნობილმა წევრმა სოციალისტმა კეირ-ჰარდიმ, რომელმაც შარშან წინ იმოგზაურა ინდოეთში. იგი სწერს:

„ინდოელი ემზადება ასაჯანყებლად: მთელი ინდოეთი მოფენილია საიდუმლო საზოგადოებებით, რომლებსაც წევრებად ჰყავთ უმთავრესად ახალგაზდობა, ინგლისურად განათლებული, ინგლისურ მწერლობაზე აღზრდილი. ამ ახალგაზდობას სიყრმიდანვე შესისხლხორცებული აქვს თავისუფლების აზრები, ის აზრები, რომლებიც ძვირფასია ყოველ ინგლისელისთვის და რომლებიც მხოლოდ მაშინ გადიქცევიან ხოლმე „ბოროტ აზრებად“, როდესაც მათ აღიარებენ და ცხოვრებაში ანხორციელებენ ინდოელები. ჩვენ, ინგლისელებს, გვეშინოდა რუსების შემოსევისა ინდოეთში, ამიტომ დიდძალ ფულს ვხარჯავდით ციხე-სიმაგრეების აშენებაზე, ხოლო თვალებს ვხუჭავდით და არა ვხედავდით ნამდვილ საფრთხეს—ინდოეთის ხალხის უკმაყოფილებას, რომელიც დღე და დღე ძლიერდება“.

რუსეთი

◆ **სრულიად რუსეთის პრესსის მოღვაწეთა კრება**. როგორც ვიცით, წრეულს უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის პრესსის მოღვაწეთა კრება. შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე ნება დართო კრების ინიციატორებს, რომ კრება მოიწვიონ, მაგრამ ამასთან კრების პროგრამმიდან ამოშალა ზოგიერთი მუხლები, მათ შორის, პრესსის უფლებრივ მდგომარეობის შესახებ. „რუსკ. სლოვო“-ს სიტყვით, პროგრამმის უმთავრეს მუხლების ამოშლამ ზოგიერთებზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და ესენი კრების ბოიკოტზედ ლაპარაკობენ. უკვე უარი განუცხადებიათ „რეჩის“ და „ვესტნიკ ევროპის“ წარმომადგენლებს. ამბობენ, რომ „რუსსკოე ბოგატსტვოც“ არ მიიღებს მონაწილეობას პრესსის მოღვაწეთა კრებაში. მილიუკოვსაც უარი უთქვამს, კრების პროგრამმიდან უმთავრეს მუხლების ამოშლის შემდეგ, თავს ვანებებ კრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგობასაო. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მოსალოდნელია, რომ კრება სრულებით აღარ შესდგეს.

◆ **იურიევის უნივერსიტეტი**. მკითხველს ეხსომება, რომ მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სხვა ქალაქში გადაეტანა. ამის შესახებ „რუსკ. სლოვო“-ს იურიევიდან დეპეშიდან ატყობინებენ: უნივერსიტეტის პროფესსორთა საბჭომ განიხილა საკითხი იურიდიულ ფაკულტეტის სხვა ქალაქში გადატანის შესახებ და ხმის უმრავლესობით დაადგინა, იურიდიული ფაკულტეტი სხვა რომელიმე დიდ ქალაქში იქმნას გადატანილიო.

◆ **ურიები და სტარიცის ერობის თავმჯდომარე**. „რეჩს“ ტვერიდან ატყობინებენ: ამ დღეებში სტარიცის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ ა. ფ. ბურმეიერმა საგუბერნიო ერობის გამგეობას შემდეგი ოფიციალური განცხადება გაუგზავნა: „№ 411. 29 იანვარი. რადგანაც ძლიერ შხამიან წამლების მომზადება როგორც კურარე, სტრიხნინი, და სხვა, ებრაელების მიერ საშიშია და სტარიცის სამაზრო ერობას კი ასეთი წამლები ხშირად სჭირდება, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ შემატყობინოთ, საგუბერნიო ერობის აფთიაქში რამდენი ებრაელი მსახურობს. სანამ ამ ცნობას არ მომაწვდით, არ შემიძლიან საგუბერნიო ერობის აფთიაქიდან ასეთი წამლები გამოვიწერო. სტარიცის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ა. ბუხმეიერი“. საგუბერნიო ერობამ ჯერეც ვერ მოეხერხებინა, თუ რანაირი პასუხი მიეცა ბუხმეიერისთვის, რომ ამ უკანასკნელისაგან მეორე განცხადება მიიღო. ბუხმეიერი თავის მეორე განცხადებაში სწერს: „ამ ჟამად ბურაშევის კოლონიის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში სტარიცის მხრიდან მოთავსებულია 92 სულით ავადმყოფი. ჩემ ყურამდის მოახწია ცნობამ, რომ ბურაშევის საავადმყოფოში ექიმები თითქმის სულ ებრაელები არიან. ამიტომ საგუბერნიო ერობას ვსთხოვ, რაც შეიძლება მალე შემატყობინოს, რამდენად მართალია ეს საშიში ცნობა, ე. ი., არიან თუ არა ბურაშევის საავადმყოფოში ებრაელი ექიმები და თუ არიან რამდენი. ჩემის აზრით სულით ავადმყოფთა და ისიც მართლმადიდებელთა ებრაელების ხელში ჩაგდება საშიშია, მით უმეტეს, რომ სულით ავადმყოფთა უმრავლესობა გლეხობაა და მათ წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიანთო“. „რეჩის“ კორესპონდენტი ასეთ შენიშვნას უკეთებს თავის წერილს: საინტერესოა, საჭიროდ დაინახავს საგუბერნიო ერობა რომ ექიმებს, თუნდაც ქრისტიან ექიმებს, შეამოწმებინოს ბუხმეიერიო?!

პ. გელეიშვილის სიტყვა

„დროებაში“ დაბეჭდილ ჟურნალისტთა კრების ანგარიშში ზოგიერთ ორატორის ნალაპარაკევი სავსებით და სწორედ არ არის გადმოცემული. სწორედ არ არის დაბეჭდილი, მაგალითად, პეტრე გელეიშვილის სიტყვა. მე თვით დავესწარი კრებას და მახსოვს, რომ პ. გელეიშვილმა სთქვა:

ზაფხულში, როდესაც მე ქვიშხეთში ვცხოვრობდი, ტფილისიდან საგანგებოდ მოვიდა ჩემთან დევან უიფიანი. მან მითხრა, რომ ტფილისში სდგება წრე, რომელმაც უნდა გამოსცეს დიდი ყოველდღიური რუსული გაზეთი. ამ გაზეთის სათავეში იქნება ხმოსანი მირზოევიო. უიფიანმა მთხოვა, რომ მირზოევი გიწვევს მოსალაპარაკებლადაო. გამეხარდა, რომ ტფილისში აპირებდნენ დიდი გაზეთის გამოცემას, სადაც შემეძლებოდა თანამშრომლობა. არ გამაოცა არც იმან, რომ გაზეთის გამომცემლად და ორგანიზატორად ბ-ნი მირზოევი იქნებოდა. მირზოევს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ იმაზე სხვებისაგან ბევრი რამ კარგი გამეგონა. მაგ., ვიცოდი, რომ ერთს ჩემს ნაცნობს ჟუნჟვაში ჟლოვნის დროს მირზოევი დახმარებას უწევდა და როდესაც იგი გარდაიცვალა, იმას ქვრივს დასამარხი ფულიც მისცა. ყველა ეს ვიცოდი თვით ქვრივისაგან. იმიტომ ნამდვილად მოხარული ვიყავი დ. უიფიანის წინადადებით, რომ, თუმცა ფული არა მქონდა, მაგრამ ამხანაგს გამოვერთვი და ჩამოვედი ტფილისში საქმის გასაგებად, გაზეთის გამომცემელთან და რედაქციის წევრებთან მოსალაპარაკებლად. სწორედ იმ საღამოს, როდესაც ჩამოვედი, სარედაქციო კრება უნდა შემდგარიყო. მე არ დავესწრებივარ, რადგან სარედაქციო კრებას უნდა დასწრებოდნენ „კურიერის“ თანამშრომლები, რომლებთანაც რამდენიმე თვის წინად მუშაობა არ მოვისურვე. მეორე დღეს ვნახე დევან უიფიანი და იმასთან ერთად წაველი მირზოევთან. უბის ჯიბეში გაზეთის ხარჯთ-აღრიცხვა მქონდა. გამოანგარიშებული მქონდა, ყოველი ნომერი გაზეთისა დაგვიჯდებოდა 68 მ., გარდა თანამშრომლების შრომის ჯილდოისა. მირზოევთან ვნახე „კურიერის“ გამომცემელი ნერსესოვი, რომელსაც მირზოევმა ქაღალდის საყიდლად 200 მანეთის ჩეკი მისცა. მირზოევმა კმაყოფილებით მიიღო. დამიწყო ლაპარაკი. მეტად გატაცებით ლაპარაკობდა. ჩამოაგდო სიტყვა იმაზე, რომ რეკლამების საქმე ტფილისში შერყვნილია და რომ საჭიროა, ხელი შეუწყოთ წარმოების განვითარებასაო და სხვ. ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ვერც-კი მოვასწარი სიტყვა ჩამომეგდო გაზეთის გამოცემაზე. ლაპარაკის დროს იმდენად შევიდა მეცენატის როლში, რომ ერთ თანამშრომელზე, სახელდობრ ვლ. ნაგურსკიზე სთქვა, იმ ყეყეჩს, მასალას ვაძლევ, მაგრამ წერა არ შეუძლიანო. რომ მოიღალა ლაპარაკით, ჩამოუგდე სიტყვა გაზეთის შესახებ. მირზოევმა განაცხადა, გაზეთი უკვე გვაქვსო და იქა სწერეთო. ისიც სთქვა, შეგიძლიანთ სადაც გსურთ იქა სწეროთ, ან სულ არა სწეროთ, ან თუნდა სწერეთ ბიოლოგიაზე და სხვა ამისთანებზე, ფულს მაინც მიიღებთო. სუბსიდია გვაქვს 500 მანეთი ერთის საზოგადოებიდან. როსტოვის ბანკიდან შეიძლება 100 მ. მივიღოთო. მივხვდი, რომ მირზოევი ხაფანგს მიგებდა. უნდოდა მივედე თავის კომპანიაში. იქვე გამოირკვა, რომ ზოგიერთი წერილი ითარგმნებოდა ფრანგულად და ბრიუსელში იგზავნებოდა. ეს გამოირკვა. დ. უიფიანიც იქ იყო და იმასაც გაიგონა ყველა ეს. გადათარგმნა ნაგურსკის წერილი, უიფიანის წერილები, ერთი ხმოსნის წერილიც. ქალაქის საბჭომ ატესტატი მისცა ბატაილს, შეაქო იგი. ქების ფურცელი ჯიბეში ედო ბატაილს და ბრიუსელში გადასცა, რადგან გინდათ პრესის გავლენათ. ქალაქის თვითმმართველობა ხელში გვყავს, ტყუილად ხარჯს რაზე ეწევითო. ეს იყო მიზეზი, რომ სუბსიდია მოუსპეს ნაგურსკი-უიფიანს და ამან გააშმაგა ისინი. სწორედ ამან ჩააგდო ისინი მიტოვებულ შეუყვარებულ ქალის მდგომარეობაში. ამან გააბრაზა და დააბეჭდვინა ცხარე წერილები ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების შესახებ. ამ შემთხვევაში მათ აბოქმედებდათ პუბლიცისტის კეთილშობილი გულისთქმა კი არა, არამედ შურისძიება. მირზოევთან საქმე არა გვაქვს, იმას იქ გაასამართლებენ, სადაც საჭიროა; ჩვენ ვეხებით ნაგურსკის და უიფიანს. ისინი ჩვენ წრეში იყვნენ და ჩვენმა საზოგადოებამ თავისი მსჯავრი უნდა დასდოს მათს საქციელს.

ხ.

წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო, ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ვაუწყო განსაკუთრებით მუშათა ჯგუფს და მრავალთ სხვათა კერძო პირთა და წრეებს, რომელთაც მომმართეს თავიანთ წერილებით, რათა მონაწილეობა მივიღო სახალხო სახლში და სხვა და სხვა ქალაქებში, რომ პირადად მე დიდის სიამოვნებით ავასრულებდი მათს სურვილს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოკლებული ვარ ამ შეძლებას, რადგანაც დიდ მარხვამდე ხელშეკრულება მაქვს ტფ. დრამატიული საზოგადოების გამგეობასთან, რომლის ნებადაურთველადაც ვერსად ვერ ვითამაშებ.

მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვლ. ა.-მესხიშვილი.

კალენდარი

თებერვალი 28 დღე

ახალი სტილით 23

10

მთვარე 13 დღისაა.

41 დღე წლის თავიდან. რჩება 324 დღე

ოთხშაბათი

ქართვ. წმ. მოწ. ხარლამპისა და სხვ.
კათოლ. წმ. ირინესი.
სომხ. მე-3 დ. არაჩავარაც.-მარხ.
მაჰმად. ჩარ-შამბე 12 რ. საფარისა 1328 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. იომრევიყი 14 რ. პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყ. შექმ.

განცხადებანი

პირველი კავკასიის სარემონტო და შემკრები
სახელოსნო
● ზომა და წონა ●
ტელეფონი N 9. ყვირილის ქუჩა, ზიარალოვის და ამხ. ქარხნის პირდაპირ.
შევაკეთებთ, შევსწორ-შევასწორებთ და ვამზადებთ ნიშნების (დაღის) დასადებად სასწორებსა და წონის ქვებს სხვა და სხვა სისტემებისას თანახმად ახალის კანონისა ზომათა და წონათა შესახებ.
ჩვენ თავზე ვიღებთ ნიშნების (დაღის) დასმის საქმეს სასამართლო კარავში. იყიდება სასწორები და საწონი ქვები სხვა და სხვა გვარისა,
◀ ურმის სასწორები ▶
(5—1031—2)

ძმ. ავსარქისოვების ბაღი
ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра. (З. К. Ж. Д.). Авсаркисову. მსურველებს კატალოგებს უფასოდ ეგზავნება. (5—1024—5)

ყველას შეუძლიან უზარალოდ
დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:
«ინგლისური ტრიკო»—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა მალის მატერია, რბილი მალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი ძიხაკის ფერი, ზეთის ხილის ფერი, ენდროს ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს მეხანიმნავ და ლამაზ სახეს. ხეხილის უკანა გნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ. «პრიმას» სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრას“ სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. სულ ახალი რამ: მატერია «პოსფორი» 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა“—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს,
ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი“ ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტ კული და კოხტა საქალო კასტიუმებისთვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.
«ტიროლის ტილო»—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის. საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5. და 6 მ. 75 კ.
უზარალოდ ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ, ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ზოლდ ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უბეღოთაც ვგზავნით.
ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь, N 18.
კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენაზე.
(5—ფ.—1)

მთავარი მოგებანი:
◀ 75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა ▶
მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

ლატარიის გამგეობა პირდაპირ კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები.
ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.
მეორე კლასი ლატარიაში ჩავარდება: 24 და 25 თებერ. 1910 წ.
დანარჩენი კლასები ლატ. ჩავარდება:
3, 26 და 27 მარტს 1910 წ.
4, 26 და 27 აპრილს 1910 წ.
5, 29 მაისს და 10 ივნისს 1910 წ.

ერთ-ერთ ოთხ პირველ კლასში მონაწილეობის მისაღები ფასები: (შემდეგ კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)
ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მან., 1/2 ბილ. 4 მ., მეოთხედი ბილ. 2 მ.
ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილ. 10 მან., 1/2 ბილ. 5 მან., 1/4 ბილ. 2 მან. 50 კ.
1/10 ათ მთელ ბილეთში . 10 მან. — „
1/20 „ „ „ . . 5 მან. — „
ფასები ყველა 5 კლასზე:
1/5 ნაწილი ბილ. 19 მან. 60 კ.
1/10 » » 10 მან. — „
1/20 „ „ 5 მან. — „
შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი შეკვ. დროს, ნახევ. აპრილიში

Л. В. ЛАНДАУ и Ко.
საბანკირო სახლი
Варшава Братская 18.
ადრესი დეპეშებისთვის
„Варшава Ландаубанкъ“
(Д. и Э. Метцль и Ко. N 80,082).
(2—б.—2)

სტ. „სინათლე“ რუს. ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.